# ცისკარი.

**1866**

აპრილი

## წელიწადი მეათე.

წიგნი ოთხი

I — აღსარება ქალის, მარიონ დელორმისა. (ნათ.) გრიგოლ რჩე-ულოვისა.
II — ლექსები: 1, ფშავის ხეობა — კ. ენდრონიკოვისა. —
III — ისტორიული მიმოხილვა
IV — მაჭმადის ისტორია — თ. იოსებ არღუთინსკი-დოლგორუკისა.
V — რედაქციისაგან. —
— ხსნა და ხსნა ანბანი (ისიც მეორე გვერდზედ.)

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
ბიბლიოთეკა

—შეთქმა სენმარსისა, დეტუსი და სხვა მოხელეებისა იყო შედგენილი მეფის თვალ წინ, იმის საწოლში. იმას ყოველ დღე უქადაგებდნენ, რომ კარდინალის მირს ჩამოგდება საჭიროა, და მეფეც არც უარს ამბობდა, არცარავის უშლიდა ამ ლაპარაკსა:

თვით კარდინალსაც აუცილებელი ეგონა იავის ჩამოვარდნა: სასკე მეფისა თან და თან იღვრიმებოდა იმაზედ. ამას უკვე აღარ ემალო-და ცხადად ეწყენინებინა მინისტრისთვის სენ მარსთან.—რიშელიეც ჰგრძნობდა, რომ მეფემეცვალა მასზედ მხოლოდ სენმარსის ენით, და ამისათვის ხშირად ეძებდა ხოლმე ამასთან ჩხუბსა სასახლეში. ერთხელ კარდინალმა მხურვალებით აყვედრა სენმარსსა, რომ ის აქა-ლაჩუნებს მეფესა, რომ ის ავიწყებინებს მის დიდებულებას იზრუნოს თავის დიდების სახელზედ.

—მეფევ, უთხრა კარდინალმა: თქვენ დამპირდით გამომყოლიყავით ისპანიაში, კატალონიის დასაპყრობლად. გვედრები აასრულოთ თქვენი სიტყვა. თქვენ დიდებულებას არ შეჰფერის მიმინოების წვრთვნა, ჩიტების ხოცვა, კურდღლების დევნა.,. ეს მიანდეთ უმაწვილ კაცებს, სასახლის ლევანდებს. ამასთან კარდინალმა შეხედა სენმარსსა.—თქვენი ადგილი მეფევ.ჯარის თავშია, იქ, სადაც ვიღებთ ციხეებს.ქალაქებს.

მეფე გაწითლდა და რაღაც წაიტუტუნა.

მინისტრს ყოველთვის თავისი გამბედაობითი ლაპარაკი იხსნიდა ხოლმე.

—მოწყალეო ხელმწიფევ, მიუბრუნდა კარდინალი სენმარსსა: მე სრულებით არ მიკვირს, რომ თქვენ ცდილობთ გულიდგან ამოუ-ღოთ მეფეს ომის სურვილი. სახელი შენის ვაჟკაცობისა დიდად არ არის განთქმული და როგორც ამბობენ, შენ კიდეც ბრძოლიდგან გამოქცეულხარ მილიციით, რომელიც მე ჩაგაბარე პირველად.

—მიჭქარამ მე ურცხვო! შეუყვირა გაანჩხლებულმა სენმარსმა და აიწია ხელი ხმლის შემოსაკრავად. იმის ხელი, მეფემ ჰსტაცა მას მა-ჯაში და შეაყენა.

კარდინალი გამოვიდა სასახლიდგან გაცოფიანებული და შეხედა სენ-მარს იმისთანა თვალით, რომელიც ყოველთვის მოასწავებდა უბედუ-რებას.—

ერთის საათის შემდეგ მეფემ მიიღო რიშელიესაგან გრძელი წერი-ლი, რომლითაც იგი ჰსთხოვდა ნებას დატევებინა მინისტრობა,—

ის აუკედრებდა მეფეს, რომ ანდრინდელივით აღარა ჰსწყალობს. რომ ქეზებს სულელ უმაწვილ კაცებს აწყენინობს მას თავის თვალწინ.— ამ მიზეზების გარდა, მინისტრი ჰპოებდა საჭიროთ შესვენებასა თავის სიმრთელისათჳს, რომელიც დაეღვარა მეფის სამსახურში.

მეფის სუსტის ხასიათის გამო, ამგვარმა წვრილმა მეტად იმოქმედა მასზედ. იმას ეს ფიქრი აშინებდა, რომ კარდინალის შემდეგ, თჳთ მეფეს უნდა ზიდოს ტვირთი სახელმწიფოს მზრუნველობისა.—

რა კარგათ შეტყუქსა სენმარსი გავლილის ამბის გამო, მეფე დაეშურა დაემშვიდებინა მინისტრი და დაჰპირდა წაყოლვას მთელის სასახლით კატალონიის დასაპყრობლად.—

ეს უმეტე ღვაწლი იყო კარდინალის მხრითა

მეფე გარემომორტყმული ეყოლებოდა მას მხოლოდ თავის ერთგულის კაცებითა და არავის მიაკარებდა თავის მტრებთაგანსა, მამასადამე მინისტრი, როგორც წმინდა სანთელსა, საითაც უნდოდა ისე გრეხდა მეფეს.—

შეთქმულებმა იგრძნეს, რომ იმათი შრომა ხელ დაიმალა და ამ ნაქცევში თვითონ მოჰყვებიან.—

შეთქმულების თავი გასტონი იყო. ამან არჩია, რომ სენმარსი უთუოთ თან უნდა ხლებოდა მეფესა, დაესწრა კარგი დრო და მიეცა ისპანიასთან ტრაქტატი, რომლისათჳსაც მოვიდოდა იქიდგან კატალონიის საზღვარზედ ოლივარეცი, რომლისათჳსაც ჰქონდა მიწერ მოწერა გასტონსა.—ეს ნიშნავდა, რომ შეთქმულებს უნდა ეღალატნათ მეფისათჳსაც და ფრანციისათჳსაც.—ამ დაწყობილებას არ ატყობინებდნენ დეტუს, თუმცა ისიც ერთი შეთქმულთაგანი, რადგანაც იცოდნენ იმისი კეთილშობილური ხასიათი, რომ ის არ აასრულებინებდა სენმარსსა ამათ რჩევასა და არ გასცემდა მას მოღალატედ არც მეფისას არც სამეფოსას.—

მაგრამ ეს დაწყობილება გასტონისა, როგორც ბოლოს აღმოჩნდა წარმოსდგებოდა უფრო სხვა მდაბლის მიზეზიდგან. გასტონი ეკურკურებოდა მარია გონზაგოს, რომლისაც შერთვა უნდოდა მას ადრეც; მაგრამ კარდინალის პოლიტიკაში არ შედიოდა ეს ქორწინება სასარგებლოდ და ამას მოშლიდა. ხოლო რადგანაც ბოლოს ამ ქალს სენმარსი უფრო უყვარდა და გასტონის სიყვარულს უარს არიდებდა, ამის-
[illegible] მარიას ძალზე [illegible] გასტონმა სენმარ[illegible]

უფრო, რომ იმან ჯერ არ იცოდა ჩუენი ჯვარის წერა, და უფ-ეს თავისი ბედნიერი მეტოქე გაება მახეში.—გენრი, კეთილშობილეუ-რის გულისა და გრძნობისა, სრულებით ვერ წარმოიდგენდა, რომ ამისთანა საქმეში, როგორც კარდინალის მარხ გადმოგდება. კიდეც სხვა ფიქრებიც ექმნება ოცნებაში. იმან იკისრა ჩუმი ტრაქტატის შეკვრა ისპანიასთან, ოღონდ ამითი კი ევნო რამ კარდინალისათჳს.

ხენმარსი მოვიდა ჩემთან გამოსასალმებლად, რომ ის მიჰქონდეს მეფეს. მძიმე ნაღველი აწვა მას გულზედა. მეც მიგრძნობდა რაღაც წინას გრძნობით გული გამოსალმების დროსა. ჩემს თვალებს რაღაც სისხლიანი ღრუბელი ებლანდებოდა!—

მე ბევრი ცრემლი დავღვარე იმის თხოვნაზედ, არ წასულიყო; მაგრამ ის თავისმა ბედმა წარიტაცა.

გზათ გავიდა მთელი სასახლე.

დედოფალი ორსულობის გამო არ გაჰყვა მეფეს. დიდი ხანი იყო ჩუენ ერთმანეთი აღარ გვენახა. ერთის კვირის შემდეგ მეფის წასვ-ლისა, ანნა დედოფალმა დამიბარა მე და ბოდიში მომთხოვა, რომ იმან ვერ მიიღო მონაწილეობა მე და ხენმარსის ჯვარის წერის გამ-ოცხადებაში.

—აჰ, მარიონ, მიბრძანა მან: მე მხოლოდ სახელით ვარ დედო-ფალი—როგორც ჩემი ქმარი ლუდოვიკი მხოლოდ სამხატრომში ჰქვიანს მეფედ. ყოვლიძლიერი კარდინალია. თუ რომ მინდა გავნო რამე ჩემს მეგობრებს, უკეთეს დონის მეტს ვერ ვიშოვნი, როგორც გა-მოვესარჩლო მე მათ.

მე ვკოცნიდი მას ხელზედა და უმადლოდი მოწყალების თვალით ყურებისათჳს ჩემზედ. მან გამაცნო მარია გონზაგო, რომელმაც ტი-რილით შემომფიცა, რომ ხენმარსთან დაძმურის სიყვარულის მეტი არა იცოდა.– მართალიც იყო ამისი ფიცი.—

განვლო ორმა კვირამ. მე ამბავი არა მქონდარა ხენმარსისა. ამის მწუხარებამ მე ავათ გამხადა.

ერთს დღეს მარია გონზაგო შემოვიდა ჩემთან თვალცრემლიანი, მ გული გამიხქდა. იმან მომიტანა ამბავი, რომ გასტონს კიდეც ჰ გლის ხენმარსისაგან ნამდვილი ტრაქტატი, შეკრული ისპანიას-თან, და ეს გასამტყუვნებული ოქმი მიუცია მეფის ძმას ლაფუმასთჳს და ამასაც სიხარულით წაუღია კარდინალთან, რომელიც ლიონში

ვა ავანტყოფი, და ემზადებოდა ჩუმათ იტალიაში გაპარვასა, რადგან-აც ჰხედამდა რომ მეფე მეტად გაცივდა მაზედ და ერთხელაც აღარ გამოუგზავნის კაცი იმის სიმრთელის საკითხავად. კარდინალს მარტო გამოცვლისა არ ეშინოდა მინისტრობიდგან, იმას შიში ჰქონდა, რომ არ დაატუსაღონ კიდეც მტრების ცდილობით.

იფიქრეთ სიხარული რიშელიესი, როდესაც ლაფემა მივიდა მასთან ამ ოქმით, რომელიც ცხადად აჩვენებდა სენმარსის ორგულობას მე-ფისა და სახემწიფოსი. იმას მაშინვე გაუგზავნა მეფეს კოპიო ამ ტრაქტატისა ნარბონში. ამ ოქმის კითხვის დროს მეფეს კინაღამ გუ-ლი შეუღონდა. იმან აჩვენა ეს ოქმი თავის სულიერს მოძღვარსა, რომელიც მიჩემებული ჰყვანდა ადრევე კარდინალისაგან, და ჰკითხა რჩევა რა უნდა ჰქმნას.

— თქვენო დიდებულებავ! მოახსენა მოძღვარმა: თქვენ მეფე ბრძა-ნდებით, მოიქეცით ისე, როგორც შეშვენის ხემწიფესა

— ახ! საწყალი სენმარსი!... თქვენ არ იცით მამაო, როგორ მი-ყვარს მე ეს ყმაწვილი კაცი!...

— განიშორეთ გულიდგან ეგ სიყვარული დანაშაული დიდის. თქვენ ვალი გაქვთ ეხლავ დაასჭერინოთ სენმარსიც და იმისი ამხანაგებიც.

მეფე ტირილით დაეცა ჯვარცმის წინაშე და ჰკითხავდა მოჰსცეს გამბედაობა ამის აღსრულებისა. ბოლოს კარდინალის ერთგულმა მოძღვარმა როგორც იყო გამოგლიჯა მეფეური დაპირება.

სენმარსსა და დეტუს შემოარტყეს ჯაჭვი და დაიჭირეს, დანარჩენები გაექცათ იტალიაში. დიდი ხანი იყო მეფეც ავანტყოფობდა; ამ არ-ეულობამ უფრო დაღუპა იმისი სიმრთელე —. რადგანაც ავანტყოფობის-გამო, რიშელიეც ვერ მოვიდოდა ნარბონში, მეფემ უბრძანა თავისა წაყვანა იმასთან ლიონში. მომაკვდავი მინისტრი ესაუბრებოდა მომაკვ-დავს მეფესა ეშაფოტის დადგმაზედ და იმის მსხვერპლებზედ. იმათ გარდაწყვიტეს სიკვდილით დასჯა ორის ყმაწვილის კაცისა, ორის მამულის იმედისა! — მეფე და კარდინალი ლოგინში იწვნენ, ერთმან-ერთის პირ და პირ და ისე ნახეს ერთმანერთი ილაპარაკეს მეფემ წინააღმდეგობა არა გამოაცხადა ამ საცოდაობის დასასჯელად. —

ამ ნახვის შემდეგ მეფემ მოინდომა პარიჟში წამოსვლა და ნელ-ნელა მობრძანდებოდა. —

რა პირველად მომიტანა მარია გონზაგომ ჩემი ქმრის ამბავი, მე ვეღარ მოვისვენე ლოგინში. მაშინვე უბრძანე ეკიპაჟის შებმა და წასვლა დავაპირე ლიონში კარდინალის სასახლისკენ.—მე მხოლოდ თე-რეზა წავიყვანე თანა. მაგრამ ტყუილათ მქონდა იმედი ჩემის ღონ-ისა. ორასი ვერსი ჯერ არ გამევლო პარიჟიდგან, მე უკვე ძალიან გავსხდი ავათ რაღაც სოფელში, სადაც ექიმი მობინადრეობდა, პატრის და-მიწყო წამლობა. დრო გადიოდა, მე შვება არა მეძლეოდა. შემინე-ბულმა თერეზამ მოსწერა წიგნი ნინონსა, რომელიც დაეშორა ჩემ-თან წამოსვლას, ქმარი გუგი პატენით,—რომელსაც ოდესმე უყვარდი და ჩემზედ თვალი ეჭირა.—

ქმარი და ნინონი შემსწრეები იყვნენ და გულს მიმაგრებდნენ რაც შეეძ-ლოთ, მაგრამ გულში თითონ უფრო მწუხარენი იყვნენ ჩემზედ: იმათ უფრო მეტი იცოდნენ სენმარსის ცუდი ამბავი ვიდრე მე.—

ამ დროს იმ სოფელში, სადაც მე ვიწექ ავადმყოფი, შეუდგათ ალიასქოთი და ხმიერება. მეფე მობრძანდებოდა თავისის ამალით ლიო-ნიდგან.

თვით განგებამ მომგვარა ის მე. გულისგან მომზადებულმა წამალ-მა ცოტა ღონე მომცა. მე წამოვდექი ლოგინიდგან, და ნინონზედ დაყრდნობილი გავედ ქუჩაში. საითაც უნდა გამოევლო მეფეს.

მე დავიჩოქე მეფის კარეტის კარების წინა და რა ავიღე მაღლა ხელები, შევემუდარე მეფეს.

ლუდოვიკი ბალიშებზედ იყო გაწოლილი კარეტაში: ის უფრო შეკრთა ჩემის სიყვითლითა. წამოიწია და მითხრა მოწყალებით:

—ვინა ხარ? რა გინდა?

—მეფევ. ღმერთის გულისათვის, შეიბრალეთ, შეიწყალეთ სენმარსი! ჩემა სიტყვებმა შეაშფოთეს მეფე.

—ეგ სახელი, ხელ ეგ სახელი!... მე აუკრძალე ყველას მაგ სახე-ლის წარმოთქმა ჩემთან.—უკან წადი!

—არა, მეფევ, ვერწავალ... გევედრები, მომისმინე... ნუ თუ თქვენი პირველი საყვარელი, თქვენის გულის საყვარელი უნდა შესწიროთ იმ ულვთო კარდინალსა? თქვენ გიყვარს სენმარსი და რიშელიე კი გძულთ; მე დარწმუნებული ვარ, რომ გძულთ, ამიტომ რომ თქვენ თითონ გიბრძანებიათ ჩემთვის,...

—მენთვის მიბრძანებია!... შეჰყვირა შიშით მეფემა. შენ ვინა ხარ

განა.?

—ოჰ, მუშკეტრებს და კაპიტულოებს მეტად შეუბრალებლად მეტყობა.. თქვენი დიდებულება ვეღარა სცნობს პატარა პაჟსა, რომელიც ოდესმე მიიღეთ ბელგარდის დროს?

—მადმაზელ დელორმი! შეჰყვირა მეფემ.

—დიახ, ახლავე მარკის სენმარსის მეუღლე... ხელმწიფევ, მოიღეთ იმაზედ მოწყალება!... გევედრები აჩუქო ჩემს ქმარს სიცოცხლე... ნუ მისცემთ ნებას იმ ღვთის მტერს კარდინალს სენმარსის მოკვლისას.—

—დამანებე თავი...სენმარსი დამნაშავეა სახელმწიფოს ღალატობაში... მე აღუთქვი დავამარცხო ჩემი გულის ბრალეულები.

—ოხ, მეფევ! ნუ თუ თქვენ არ გაშინებთ ფიქრი, რომ სიკვდილის წამს წარმოგიდგებიან! ყოველი მსხვერპლი კარდინალისა?.. ეს სისხლში მოსვრილნი მოჩვენებანი შემოგეხვევიან გარს და დაგიწყებენ ყვედრებას იმაზედ, რომ არაგცოდნიათ პირველი სათნოება მეფეებისა:—შეწყალება.

—კმარა! კმარა! გაჩუმდი... მინისტრი ლოჟშია. იქ წადით და ის დაიყოლიეთ შეწყალებაზედა.

ერთი სიტყვა, ხოლოდ ერთი სიტყვა თქვენი ხელით ნაწერი მიბოძეთ.

—არა, არა! მე არა შემიძლიან რა. ყველა დამნაშავეს ბედი კარდინალს მივანდე: დასჯაც და პატიებაც მის ხელშია.

—ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! მაგას როგორა ბრძანებთ! რადა მეფეხართ!

ლუდოვიკო გაწითლდა, გარდუშლო ბალიშებზედ და ცივათ უბრძანა განაგრძელონ გზა. იმ საბრალო მეფის აზრილსა იმდენი გამბედაობაც არა ჰქონდა, რომ გაჯავრებულიყო.

—შეჰსდექით! შეჰყვირე მე: თუ რომ წაბრძანებულ ხართ, მეფევ, მე თქვენი კარეტის თვლების ქვეშ ჩავარდები... თქვენ მინისტრთან მისტუმრებთ, ის არ მიმიღებს მე, ეს ხომ უნდა იცოდეთ თქვენა. მეფევ, იყავით დიდსულოვანი, შემიხედეთ ჩემს ხასოება მიხდილებას! გევედრები, მხოლოთ ერთი ტრიქონი თქვენი ხელ ნაწერი მიბოძე, უბრალო ბარათი, რომელმაც შემიშოს მე მინისტრთან.— თქვენ ნუ გარევით, ნუ გამოესარჩლებით სენმარსსა- მაგისი მე ვიცი—-უარს ნუ მიბძანებთ, მეფევ, თორემ გაფიცები ზეციერებას, თქვენს კარეტას გავეჩხირები და ამითაც მოვუმატებ თქვენი სვინიდისს

ტანჯვას.

იმასშევებრალე.

რამდენიმე სეკრეტარი იმყოფებოდა იმის ამალში. მოართვეს ბეჭედი დ̃ ქაღალდი. მეფემ მთრთოლვარის ჴელით მობღარჯნა ეს სიტყვები:

»ყველგან მიეცეს შესვლის ნება მარკიზ დესენ მარსის მეუღლეს
ლუდოვიკი.»

ეს ბრძანება დაბეჭდეს დ̃ მომცეს.—კარეტები წავიდნენ.

—ლიონში, ჩვენ ლიონში წავიდეთ ჩქარა.! უთხარ მე ნინონს დ̃ ექიმს.

მხოლოდ ერთი დღე შეისვენეთ, თუ ღმერთი გწამს, მითხრა ექიმმა, თქვენ ვერ შეჰსძლებთ მოგზაურობას.

—არც ერთს საათს შევიცდი! თქვენ გავიწყდებათ, რომ კარდინა-ლს შეუძლიან ყოველ საათს იმისი სიკვდილი?.. ესლავ, ესლავ ცხენე-ბი!—გზაზედ მომცემთ ხოლმე ყუათის წამალს,როგორც დღე-ესა.

—წამლისაგან მოცემული ძალა უფრო სავნებელია, ჩემო მარიონ!.. მაგრამ თუ წამალმა გვიღალატა, ღმერთი მოგვეშველება. წავიდეთ თუ არ დაგიმძლია.

მაშინვე შეაბეს ცხენები. ორს დღე დ̃ ღამეს გავიარეთ ექვსასი ვერსი დ̃ მივედით იმ ქალაქში, სადაც ჰსწარმოებდა გამოძიება სენმარს-ზედ.—მე ვიკითხე სახლი კარდინალისა; მაჩვენეს; პირველად იმის გვარდიელები არ მიშვებდნენ იმასთან, მაგრამ მე ვაჩვენე იმათ ჴემწიფის ბრძანება დ̃ შამიშვეს

მე ვნახე კარდინალი; ის ეგდო გრძელს კრესლოზედ. გამხდარი სახე მოღრეჯოდა დ̃ მკვდრისას ემგზავსებოდა. სამი ექიმი უხვევდა მას ფეხის იარასა, ის ელაპარაკებოდა ლაქიებს; მაგრამ ჩემს მიახლო-ვებაზედ, მობრუნდა ჩემსკენ.

—მარიონ? შეჰყვირა იმან დ̃ შეხტა, თითქოს უკბინა რამამ. —

—დიაღ თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ; მგონია თქვენ უნდა მოლოდინე ყოფილიყავით ჩემის ვიზიტისა.

—ვინ მოგცა ნება ჩემთან შემოსვლისა?

—მეფემ.

—რა გნებავს?

ის სიცოცხლე საშიშროებაში არ არის, —

— გარწმუნებ, მე მაგაში თავდებათ ვერ დაგიდგები იმისი დანაშაულობა თვალიია ჰხსნას აშკარათ... აი, ჰკითხე ლაფემას; ეს ახლა სამსჯავროს პალატიდგან მოდის. იქ ახლა ბაასი აქვსთ მსაჯულებსა დამნაშავების ბედის წერაზედ, და მე ველი ნიშანსა, რომელმაც უნდა მაცნობოს იმათი გარდაწყვეტილება. — ამ დროს გავარდა ზარბაზანი

კარდინალმა წამოიწია კრესლოდგან; იმას სახეზედ გამოისახა მხეცური მძვინვარება. ის გარდაეკიდა ფანჯარასა და ყურს უგდებდა.

მოისმა მეორე ზარბაზნის გასროლაც.

რიშელიე გარდმოეშო ისევ კრესლოზედ მაჯებზედ ხელის სმით, და ჰსთქვა კმაყოფილებით:

— ორივესთვის, სიკვდილი გადუწყვეტიათ... მაინც ვერ გაბედეს ჩემი დაუჯერებლობა... ეს კარგია.

მე მივარდი მას; მთელი სხეული მიკანკალებდა.

— შენ ვერ გაჰბედავ მოჰკლა ისინი! — ვერ მოჰკლავ.., მეტადრე სენმარსსა...

— რატომ? მკითხა იმან ცივად.

— შენ მე მკითხავ რატომ?. მე შევხედე ახეთის თვალებით რომ ის მიხვდა რაც მინდა მეთქვა.

— ყარაულნო! გაბრძანდით პატარასანს კარზედ, უთხრა კარდინალმა იქ მყოფებს. —

ექიმები და ლაფემა — გაბრუნდნენ კარებისაკენ; მაგრამ რიშელიემ ლაფემას ისევ შემოაბრუნა-

— აბა გაჩხრიკე ეს დედოფალი, უთხრა მას: იარაღი ხომ არა აქვს რა

— არ მომეკარო! არ მომეკარო; შევყვირე მე მრისხანებით ლაფემას მერმე მივუბრუნდი ზიზღით მინისტრსა:

— ჰხედავ, სადამდის მიახწიე! შენ გეშინიან სუსტი დედაკაცისაგან, რომელიც მოწყალებასა გთხოვს... როგორც ყოველნი მატრვალნი, შენ შენის ჩრდილისა, გეშინიან... სს, დამშვდდით: მე იმდენი გაბედულება არა მაქვს, რომ ან შენი სისხლი დავღვარო...

იმას შერცხვა თავისის მშიშარაობისა, და ჩუმათ კარგა ხანს რაღასაც ჩურჩულებდა თავის საზიზღარს ამხანაგს ლაფემას. შემდეგ ესეც გავ-და, რა ხელში დააჭერინა მას ზარების ჩამოსაკრავი ზონარი.

როცა ჩუჱნ ორნი დავრჩით, მე უთხარ კარდინალს:

—ნუ თუ შენში ამოშრობილა კაცობრივი ბუნება, რომ შენს შვილს გამოიმეტებ?..

—ის ჩემი შვილი არ არის.., ან თუგინდ იყოს, იმაშიკი ლაპარაკობს ბუნების სისხლი?... ის სავსეა ჩემის მოწყალებით, ჩემის სიკეთით და ჩემივე მოკვლა ედო გულში... მე სულ ვიცი იმათი შეთქმულობა, იმათი განზრახვა.—

—იმან კი არ იცის, რაკავშირით არის ისა შენთან დამოკიდებული, მაგრამ შენ კი იცი... მამას შვილი არასოდეს არ მოუკლამს!... მაგას ვერა იქ..

მე დაუჩოქე მას. ადრე არ იყავი კმაყოფილი ჩუჱნს ქორწინებაზედ. მე ეხლავ მოვაწერ ვაყრის თანხმობაზედ, თუ მეტყვი, რომ გენრი იცოცხლებს. მაგრამ მე გამოვსულელდი; თუ რომ იმისი სიკვდილი მართლა გუნებაში გედოს, იმისი დედა მარშალმაც ხომ ეხლა აქ იქნებოდა ჩემსავით დაჩოქილი და მავედრებელი.—შენ მხოლოდ ისე, ჩემს შესაშინებლათა ჰსთქვი, რომ ორივე უნდა დახოცო... ჯერ ის საცოდავი ოც და ორის წლისა არ არის. იმის დედა ქვეყანას აიკლებს....

—აი, მარიონ, მაგას ჰსწორეთ ამბობ ეხლა შემიძლიან განტეხილი გითხრა, რომ სენ-მარსი ჩემი შვილია; რასაკვირველია ამისთანა შემთხვევაში ძნელია დაჭეშმარიტებით ცოდნა, მაგრამ საეჭო ასაქმეში.. ჩემი ვალია მოვისმარო დიდ სულოვნება.

—ოო, გმადლობ, გმადლობ მინისტრო!.. დამიფიცე სიხარებაზედ რომ არას დაუშავებ გენრის.—

—ფიცი სრულებით მეტია, ჩემო საყვარელო მარიონ. აი ფიცს ეს ჰსჯობია, წაიკითხე ეს წიგნი. იმან ამოიღო წიგნი უბიდგან და მომცა.

ეს იყო სენმარსის დედის წერილი, მადლობით სავსე, რომ კარდინალი ჰპირდებოდა შვილის უშიშროების გამო, მარშალშა, დაჯერებული მინისტრის დაპირებით, ჰსწერდა, რომ აღარ მოვალ ლიონშიო..

—ჰსედამ, მარიონ; სენმარსის დედას, ღვიძლს დედას შიში არა აქვს რა თავის შვილისგამო; ის დაჯერებულია ჩემზედ.

—ოო, რადიდსულოვანი ხარ, რა მოწყალე ხარ... რა უსამართლო და დამნაშავე ვარ მე თქჳენთანა

მე ვჰკოცნიდი კარდინალს ხელებზედ და ვაფრქვევდი მასზედ ცრემლსა.— მაგრამ, ვაჲ! ვინ არ ყოფილა ამ შესაზარი უღვთო კაცისაგან მოტყუებული? ამან ამიტომ დამამშვიდა, რომ უნდოდა მოეგოდრო და დაემალა ჩემთჳს არა მოვასხდინორა უეცარი რამ,...

დიდი ხმიერება მოისმა ეზოში; ეგრეთვე ტალანებში ისმოდა თოფ იარაღის ჩასა ჩუხი,

კარდინალს უნდოდა განემორებინა ჩემგან ყოველი ეჭვი.

—წარმოიდგინე, მარიონ, საღამდის მივჰყევართ სიყმაწვილის დანაშაულობას... მე ახლა იძულებული ვარ მივმართო იმ ღონის მიებას, რომელიც ყოველთვის წინაღმდეგი ყოფილა ჩემი ხასიათის, ჩემის ჰაზრისა, ჩემის პოლიტიკისა. უნდა გაპატიო ამ ყმაწვილ კაცს ის დანაშაული, რომელიც არავის არ ეპატიება, და არცა ჰპატიებიათ!—

—ოო ნუ შეინანებთ: კაცი ხან და ხან მტრის დიდ სულოვნებით უფრო იტანჯება, ვიდრე ნამდვილის დასჯით.

—იმედი მაქვს... მაგრამ ყოველი რიგი კი უნდა აღსრულდეს დასჯისა: სენმარსმა უნდა გამოჰსცადოს ტანჯვა თავის დამნაშაობისა.... ეშაფოტი უნდა ვაჩვენოთ მას თავისის საშინელებით. შენ ხომ იცი მარიონ. რომ ჩვენის კანონით, რაკი გარდაწყვეტილება შეჰსდგება მსაჯულებისაგან სიკვდილისა, იმ დღესვე აღსრულებენ ამ გარდაწყვეტილებას.—ამიტომ ეხლავე უნდა გამართონ ეშაფოტი და რამდენსამე მინუტს გენრისაც გამოიყვანენ საპყრობილიდგან.—საწყალი ის მართლა იფიქრებს, რომ სასიკვდილოთ მიჰყავთ.—

—ოჰ, ზეციერო!... ყველა ღონის მიება გაქვს მიღებული? დარწმუნებული ხარ, რომ პატიება დროით მივა?

—ჰო! ჰო! მაგაზედ სრულებით დამშვიდებული იყავ... ჩვენ შეგვიძლიან აქედგან უყუროთ; მგონია ყველა გამოჩნდება აქედგან.

კარდინალი ძნელად წამოჯდა კრესლიდგან.

—ხელი მომაწოდე აქა, მარიონ!. შეშინება ყოველთვის საჭიროა მაგათთანა ქარიანი ყმაწვილი კაცებისთვის.

მინამ ჩვენ ფანჯარასთან მივიდოდით, მოგვესმა მკვდრებისათვის ზარის რეკა.

—ეგ ისეა, რიგის გადასახდელად... მოიწიე კრესლო ფანჯარასთან ახლოს; ფეხებში საკურველი სისუსტე მაქვს.—

მე მივაგორე იმისკენ კრესლო.

აქ უყურე, მარიონ, აქა... აი ისინი ამ გორაზედ ჩამოვლიან... ღმერთო, რამდენი ხალხი შეყრილა, რომ დაჭყეტებნენ უყურებით; მაგრამ ბოლოს რა სახტათ დარჩებიან... აი, იქით სახლების მხარეს ეშაფოტია გამართული.—ახ, რა ვწუხვარ, შორს არის კარეტა არა ჰსჩანს,.. ეგრე ნუ ხსნი, მარიონ ფარდას: ჩვენ ხალხს არ უნდა დავენახოთ... აა! აიგერა, მარიონ, მარიონ! საპყრობილიდგან გამოდიან.—მართლაც, მოთამაშის თვალები საპყრობილისაკენ მიიქცნენ.—აი, ჩვენ დავინახეთ სენმარსი და დე-ტუ, რომელნიც მოდიოდნენ ორს ხმალ ამოღებულების სალდათების რიგში. მოჰყვებოდა მათ ეკიპაჟი.

დე-ტუ ჩაცმული იყო შავად; სენმარს ეცვა მდიდრული ტანისამოსი კაკლის ფერი, ოქრომკედით ნაკერი, მწვანეს აბრეშუმის ჩულქებით. ისინი ხელი ხელში დაჭერილი მოდიოდნენ. დამშვიდებულათ მოლაპარაკენი; მათ მოსდევდნენ უკან ორი პატრი, იმათი სულის მამები.

რიშელიე თვალებითა ჰსჭამდა ამ ყმაწვილ კაცებს. იმის სახეზედ გამოხატული იყო ისეთი გრძნობა, რომელმაც შემათრთოლა.

მე უნებურად შევჰკივლე:

— წმინდაო მამავ!... ოო! თქუენ ხომ არ მატყუებთ?.. განა ამგვარი მოტყუება შესაძლებელია ადამიანის შვილისაგან!..

—ეგ რა ფიქრია, მარიონ?.. შენ არასოდეს არ გამოხვალ ჩემ საწყინოთ ეჭვიდგან., მაგრამ შეხედე, რა დამშვიდებულნი არიან ეს დამნაშავენი: ასე ჰგონია ჯვარის საწერათ მიჰყავთო თავიანთ საყვარლებზედ.... ისინი თითქოს სრულებით მასხარათ იგდებენ სიკვდილსა.—

—შემცთარი ხართ, კარდინალო; ეგ სიმშვიდე მხოლოდ გარედან არის. თუ რომ შეგეძლოსთ იმათ გულში ჩახედვა, გგონებ შეშინდებოდით, რა ტანჯვასაც ისინი ითმენენ ეხლა. გარწმუნებ ეგ დამშვიდება მხოლოდ ხალხის გულისთვის არის. განა აზნაურშვილს შეუძლიან აჩვენოს, რომ სიკვდილისა ეშინიან?—

—მართალს ამბობ, მარიონ... აი, კარეტაში ჩასხდნენ; სამი მინუტი საკმაო, რომ ეშაფოტამდის მივიდნენ. შეუბრალებელნო, რა მაგ წლოვნების ყმაწვილ კაცებს ძვირად არ მიაჩნდეთ სიცოცხლე.!, თითქო საკვეხურათა აქვსთ დასასჯელად წასვლა!.. თითქოს რჯულისთვის უპირებენ იმათ წამებასაო. ისე შეუპოვრათ იქცევიან... მაგი-

თი მაძულებენ მე ყველანი ხალხსა... მაინცა ხასყმწიოვოს დასახსნე-ლად საჭიროა დასჯა.

—ნახეთ, რომ შებრალება უფრო მოგიპოვებსთ ხალხის სიყვარულსა, რა დანაშაულობისთვისაც გინდა იყოს.—

—მე ეგ არა მჯერა. მინისტრმა—პოლიტიკმა არ უნდა ივაჭროს კაცის სიცოცხლით. იმან უნდა ჩააჩუმოს თავის გული, დაჰყრუოს ბუნების ხმა... ზარი ჩამოჰკარ. ჩემო საყვარელო... უნდა გკითხო. ყოველს რიგს ხომ ჭხდილობენ —

მე ჩამოვწიე ზონარს,

შემოვიდა ლაქემა. ჵ თან შემოჰყვნენ ორი გვარდიის სალდათები ხმალ ამოღებულნი, რომელნიც ორივ მხრივ ჩამოეწკრივდნენ კარდინალის კრესლოსთან; ხოლო ლაქემა ჩადგა მე ჵ კარდინალის შუა. მე შიშით უყურებდი ამ მზადებას.

—ნურასი გეშინიან, ჩემო ლამაზო, მითხრა კარდინალმა; ესენი ჩემები არიან; ესენი გამომყვებიან, მე მინდოდა გავსულვიყავ კრესლოთი... მართლა, წაგიკითხავს როდისმე რომის ისტორია, მარიონ?

იმან ისეთის ღიმილით შემომხედა, რომ მე გული გამიწყალდა. გული მიპირებდა ამოვარდნას; ცივი ოფლი ჩამომდიოდა საფეთქლებთან, რაღაც ღრუბელი მეფარებოდა თვალებზედ.—

—რა რომის ისტორია?.., არ მესმის...

—ისე გკითხე... იქნება შენ გაგიგონია როდისმე ბრუტის სახე-ლი, რომელმაც გარდასწყვიტა თავის შვილის სიკვდილი

—ეგ საშინელებაა!

—არა, ეგრე არა ჰფიქრობენ: იმის ამ გვარ საქმეს უყურებე ნ როგორც უმაღლეს სამაგალითო ღვაწლსა.

—შემიბრალე! ნუ თუ გესიამოვნება ჩემი ტანჯვა? ნუ მეუბნებით მაგისთანა ლექსებსა: შიშით გული მელევა!

სასიკვდილო ზარივი აგაგუნებდა უფრო ხშირად, უფრო მწუხრად.

—აი, მარიონ, მივიდნენ ეშაფოტთან... რასაკვირველია ბრუტს დიდი მხნეობა მოუნდებოდა, რომ ებრძოლნა თავის გულთან, თავის ბუნების გრძნობასთან... მე ეხლა იმის მდგომარეობაში ვიმყოფები..

—გაჩუმდი... ეგ არ შეიძლება!.. შენ მეტად უღთო იქნებოდი!.. მითხარ ეს მზადება ხომ სულტყუილია?

—აგერა, მარიონ ეშაფოტზედ არიან ისინი.. წეღან გაიგონე ორი ზარბაზნის ხმა... ჵ ეხლა მესამეც იქნება, რომელიც გაცნო-

ბჟებს...

—იმათ პატიებას? ჰსთქვა ჩქარა! განა იმათ პატიება?. ოჰ, ღმერთმა გარდაკარგოს.!

—არა, იმათ —სიკვდილი!

—ოჰ. გაჩუმდი. პალაჩო! ქვეყნის ამოსავარდნელო!
დაიქუხა ზარმა ზანმა,

სენ მარსი გათავდა ამ ქვეყნად.. მე წავალით დავკვდე [illegible] და თავი მივარტყი კედელს.—

—გამაცალეთ ეს დედაკაცი აქედგან.! უბრძანა კარდინალმა თავის მცველებს. უგრძნობო, თავ სისხლიანი გამომიტანეს ქუჩაში კარდინალის მცველებმა. იქ მელოდნენ ნაღვლიანი ნინონა და ქმარი. იმათ მომავლეს მე გრძნობაზედ რა თვალი ავახილე. მე ვუყურებდი ხან ერთს, ხან მეორეს და ვერა ვცნობდი. მე ჭკუიდგან შევიშალე.
უფალო; უფალო! შემიწყალე!.. მე ავწერე თვით უტანჯესი დრო ჩემის სიცოცხლისა... ეხლაც ამის წერაში, მე მგონია. რომ დაწყევლილი ვარ ცისაგან, და რომ იქ არ არის ჩემთჳს არც შებრალება-არც მოტევება,—
იკმარა სისხლის მსმელმა კარდინალმა ამდენი სამღაო. ავთარი გაძღა სისხლით.—

სენმარსი და დეტუ დაისოცნენ გულადათ, როგორც შეჰფეროდათ კეთილშობილთა. ისინი ერთმანეთს აჰსწრობდნენ—პირველად სიკვდილის მიღებაში.—ანგელოზმა გაუღო მათ კარი სამოთხისა.—

მე მომიყვანეს პარიჟში მეხსიერება და გონება გამოლეული. ჩემი მღვრივე, არეული თვალები უყურებდნენ ხალხს, ვინც ჩემს სანახავათ მოდიოდნენ, მაგრამ ვერავისა ჰსცნობდნენ, ჰფიქრობდნენ რომ მე სამუდამოთ დავჰკარგე გონება, ყოველი მეცადინეობა ქმრისა—გამოვეყვანე ამ მდგომარეობიდგან, ამაოდ დარჩა. მაგრამ ჩქარა შეამცნია იმან, რომ სენმარსის და რიშელიეს სახელები თითქოს აღვიძებდნენ ჩემს თვალებში სხივს გონებისას. ერთს საღამოზედ, რა ქმრმა ჩემმა პატენმა უმეტესად შეამცნია ჩემი კანკალი და თვალების ბრწყინვალი რიშელიეს სახელის ხსენებაზედ, ის მოვიდა ჩემთან, ჩამომართო ორივე ხელები, მომიჭირა მაგრა და მითხრა მაღალის ხმით, რომელმაც თითქოს გულღვიძლი გადმომიბრუნა:

—რიშელიე კვდება!.. გესმის, მარიონ!.. შენი ქმრის მკვლელი

უკანასკნელს დღეშია.., ღმერთმა ამოიყვანა იმაზედ შენი ჯვარი!....

მე შევკანკალდი.

—გაიგონე, მარიონ, რომელიც კვდება!... მე ახლა იქიდგან მოვდივარ: გესმის ჩემი ლაპარაკი, მარიონ?—

—საშინელი ყვირილი ამომვარდა გულიდგან.

—წავიდეთ! შევჰყვირე მე.

—სად წავიდეთ? მკითხა ქმრმა.

—კარდინალთან.

—იქნება ის კიდეც მოკვდა.

—მოკვდეს უჩემ წყევლით? არა! არა! ჯერ ღმერთი იმას არ მოჰკლავს.

—მარიონ, ჩვენ რა ღონის ძიებით შევალთ იმასთან? შენ არავინ გიშვებს. იცი რამ იქ შესვლის გზა? ქმარი თვალებში ჩამცქეროდა, თითქოს ჩემს პასუხსზედ იყო დამოკიდებული ჩემი მორჩენა სიგიჟიდგან.

—იქ იმ ყუთში ნახეთ გასაღები კარდინალის სასახლის საიდუმლოს კიბისა. მგონია ისევ მე უნდა მქონდეს.—

გახსნეს ყუთი. იქ იდო გასაღები, რომელზედაც იყო შებმული ქაღალდის ნაჭერი: «მინისტრის კაბინეტისა.»

გონება სრულებით დამიბრუნდა მე. ყოველნი ქაჯნი მძულვარებისა ჰგლეჯდნენ ჩემს გულსა.—გასაღები მივეცი ქმრსა.

—ეს გასაღები გამოგვადგება მხოლოდ იქიდგან გამოსვლისას, არეულობის დროსა. მაინც თან წავიღოთ.—წავიდეთ, მარიონ!.. მე დიდს საშიშროებაში ვაგდებ თავსა... მაგრამ თუ რომ ჯვარის ამოყრას შეუძლიან შენი მორჩენა,—ამოიყვანე ჯვარი და -მორჩი.—

ქმრმა გუიმ მოკლედ მაცნობა, რომ ისიც, სხვათა ქმრთა შორის არის მიწვეული კარდინალის საწამლავად; და წამიყვანა იმან თავის სახლში, ჩამაცვა საქმრო ტანისამოსი, გამიკეთა ყალბი ულვაშები და წვერი, და თავზედ დამხურა პარიკი, რომლისაგანაც ისე შევიცვალე რომ აღარ შეიძლებოდა ჩემი ცნობა.—ამ გვარად უნდოდა წარვედგინე ქმრსა კარდინალის სასახლეში; ეს უფრო უშიშარი ეგონა ჩუმის კიბიდგან მიპარვაზედ.—

დაჰკრა შუაღამემ

ჩუმად შევედით კარდინალის სასახლეში. არეული მოსამსახურები [illegible] ჰკითხავდნენ მომსვლელებს სახელებსა. ყოველი სახლი სამხე

იყო მნახავებით; ყოველს სახეზედ ეწერათ სიხარული. სასახლიდგანაც მოდიოდნენ ამბის შესატყობლად და მირბოდნენ მეფესთან სახარებლად.

გუი პატენმა წარმადგინა სხვა ექიმებთან, როგორც ახალი მოსული ექიმი, რომელიც იმედეულობს კარდინალს მისცეს შვება.— მე კი ჩუმათ წამჩურჩულა, რომ ესლავ დანარჩენს ექიმებს გავისტუმრებთ და მერმე რა მარტო დარჩები კარდინალთან, შეგიძლიან მისცე შენს ენას თავისუფლებაო.

ამ დროს შემოვიდა ეპისკოპოსიც. ამას ბარძიმ ფეშხუმი მოეხვენებინა. ფარდა გადახსნილი იყო და მე დავინახე მომაკვდავი სახე და ჩამქრალი თვალები ჩემის მოსისხლემტრისა.

მთელს თავის საცოცხლეში კარდინალი ატყუებდა ხალხსა და ეხლაც უნდოდა ღმერთი მოეტყუებინა.

აგ არის ჩემი მსაჯული, წაილუღლუღა კარდინალმა, რა შეხედა სტოლზედ დადგმულს ბარძიმს. მაგან დამსაჯოს, თუ რომ მე ოდესმე მქონია გულში სხვა განზრახულება, გარდა მამულისა და ეკლესიის მსახურებისა.

აქ იმან მიიღო წმინდა საიდუმლო. იმ უწმინდურის პირით იმან მაინც გაბედა საიდუმლოს მიღება!—

ამის შემდეგ რიშელიემ ჰსთქვა:

—მამაო, მე ველი ზეთის კურთხევას.

ეპისკოპოსმა ჰსცხო ზეთი.

ერთის წამის შემდეგ კარდინალი შეჰხედა ჩემს გამმაგებულს შეკრეტას, იმაზედ მიქცეულს და იკითხა ნელის ხმით:

—ეს კაცი ვინარის?

—ექიმია ვენეციიდგან, უპასუხა გუი პატენმა; ჩვენ კიდევა გვაქვს იმედი ამის შემწეობით დაგიბრუნოთ სიმრთელე.

—ოჰ, მხოლოდ ერთს ღმერთს შეუძლიან სასწაულთ მოქმედება!

—არ ინებებთ დარჩეთ ორიოთ წამსა ამასთან მარტოკა, რომ ჰსცადოთ ამისი წამალიცა? მოახსენა გუიმ.

—უკეთესი იქნება ის ორიოდე წამი, რომელიც დამრჩენია სასიცოცხლოდ, მომქსმარებისა მოსამზადებლად საიქიოს წასასვლელად... მაგრამ თუ მართლა რომლისამე სასწაულით შეიძლება ისევ დამიბრუნდეს სიმრთელე, მე ნება არა მაქვს უარი ვჰყო მაგაზედ.

იმისი ხმა ძლივ ისმოდა; იმან ანიშნა და ქიმები ეპისკოპოსით გავი-დნენ. დარჩა მხოლოდ გუიპასტენი ფარდას ამოფარებული, ასე რომ კარდინალი ვერა ჰხედავდა იმას.

მე მწრაფლად მოვიგლიჯე პარიკი, გაკეთებული წვერ-ულვაში, მი-ვარდი ავადმყოფის ქვეშაგებს და შევყვირე:

—სენმარსის მკვლელო, მცნობ თუ არა?

—დედაკაცი ყოფილა!... კიდევ ისა!... გადი, გადი აქედგან!.. რისთვის მოსულა კიდევ!—

—იმისთვის რომ გნახო როგორ ჩამქრალდები!

—მიშველეთ!

რა დავიწყე იმისაკენ მე ვეუბნებოდი ყრუის ხმით. იმან ხ გულდბლი დაეკრიფა.

—შენ ჰფიქრობ მიიღო ღვთისაგან შენდობა!,.. ნუ გაქვს იმედი, აძაღლებულო!.. ოცი გატანჯული შენგან მწამებელნი გელიან შენ ჯოჯოხეთის კარებთან... ისინი თხოულობენ ღუთისაგან სამართალსა და შურის გებასა! არა აქვს შველა კაცსა ქრისტიანის სისხლის მყვარ-ებელსა! ფიცის გამტეხსა, კაცის მკვლელსა., რომელიც თავის დიდე-ბას სამირკველსა ჰსდგამდა ქრისტიანის ლეშებზედ

—მარიონ!.. თავიდამანებე, ნუმტანჯამ... ხომ ვჰკვდები...

—არა ჰკვდები. შენისთანა კაცი არ მოკვდება, შენ ჩამაგდებიო იმისმა ცნობამ დამიბრუნა მე განსჯა. ახლა მოვსულვარ შენთან, რომელმაც დაალაფა ჩემი სიცოცხლე, რომელმაც შელეწა ჩემი ბედი!.. მე მოვსულვარ შენთან, რომ ღუთის წყევლა დავაყარო მაგ ქოფაკ თავზედ, რომ დავანთქარო ცის ტანჯვა შენზედ! თვალი გარდაავლე შენს გარემემო წყეულო და შეჩვენებულო კარდინალო... არა ჰხედამ ამ სისხლში დასვრილს ხალხსა, ამ საცოდავათ ყელდაჭრილებსა შენგან.... საწყალ შალეს ოცდ ცხრაჯერ დაჰკრეს ცული და ვერ მოაგდებინეს თავი; არ გესმის იმისი წივილი.... მხოლოდ იმან მეოცდათეზედ გაწყვიტა ხმა!—

—შეიბრალე მარიონ

—შენა სარ შესაბრალისი?.. შენ მთელი სიცოცხლე სულ ეგ აიძახე რომ შებრალება არ შეიძლებაო!.. არ გახსოვს რომელიც!.. აი შეხედე კიდევ,—მოდიან დასტებით სისხლის ქვევით მოსუცებულნი მარილ-იაკები და ყმაწვილი კაცები მონმორანსები, დეტუ, შენი საკუთარი

მაალი გენრი!.. მაგრამ არა, არა! შენ მხოლოდ იკვეხდი ამას!.. იმ ბეთილშობილის ხენმარხის ძარღვებში არ ერია არც ერთი წვეთი შენის გესლიანის სისხლისა! გესმის, ჯალათო?... შენ გეგონა, რომ იმათი ახალ გზდა რიხსლის დანთხევით შენც უმაწვილდებოდი, მელოტის პირით შეჩვენებულო!.. ქმარკოტთან ომობდი შენ შეწყალების მაგიერათ!.. მდაბლად, ურცხვად მომართე შე მე; შენ მოაწამე ის დამწვარი დედაც, რომელიც ოდესმე გვერდით... გხედავ ქვეყნად, რომ შენ კაცობრიობისა არა გქონია რა?.. რომ შენ მხეცათ დაბადებულხარ, და მხეცივით უნდა ჩამოხრჩე და მოკვდე!!. თუ შენ ღმერთი მოგიტევებს მე აღარ ვეჩვენები ამას! მე აღარ დავიჯერებ იმის მსაჯულებას!—

—მიშველეთ!.. შემიბრალეთ... მოაშორეთ ამ დედაკაცს, ამ ჯოჯოხეთიდგან გამოსულს ქმმაკს!.. მკვდები!..

—ჩამოხრჩი, შე ულთო ავაზაკო! შეჩვენებულ მყოს წყეულიმც იყავ შენც, შენი სისხილიც!—შენი დაბადების დღეც.

გუა შემოვარდა და დამადო თავზედ პარიკი.

ვილაც შემოდიოდა.

ეს იყო ლუდოვიკი, რომელსაც უნდოდა თავის თვალით ენახა კარდინალი.

—თქვენო დიდებულებავ, რიშელიე მოკვდა, მოახსენა ექიმმა: მას აღარ უცემს.

მეფე მისვლოდა საწოლს, დაწყნარების თვალით დასედა მას ჩალურჯებულს და დაღრეჯილს მინისტრის სახესა; შემდეგ რა მიუბრუნდა გულგრილად თავის ამალას, უთხრა: «ერთი დიდი პოლიტიკი მოაკლდა ქვეყანას!

—საწყალი კარდინალი! წამოიძახა ერთმა მეფის მხლებთაგანმა: მშობლის იგე მოკვდა, როგორც წმინდანიო!»

—თუ რომ ესეც სამოთხეში შევა, ჰსთქვა მეორემ, ეს ის იქნება, რომ ეშმაკები ნებას აძლევენ თავიანთ თავის გაცარცვისას!—დღისით!

ლუდოვიკმა გაიღიმა და გამოვიდა ოთახიდგან, და აღარც კი ალირსა უკანასკნელად დასედა თავის დიდის მინისტრისთვის.

მაგრამ კარდინალის შემდეგ აღარც მეფემ იცოცხლა დიდხანს. ისიც ჩქარა გამოუდგა მას.

მეფის დედა მარია მედიჩი მოკვდა ერთის წლის წინათ პარიჟი-

ჲდან განდევნილი შვილისაგან, ხიდარიძეში.

შემდეგ მოკვდა, ყველასაგან დავიწყებული და მოძულებული: თითქ-მის ბიჭებიც აღარ ემსახურებოდნენ ამ საცოდავს, და დედოფალი შურსაც აღარ უგდებდა.

ლუდოვიკს არავინ არ უყვარდა, და არც არავის ეს უყვარდა; სასა-ხლის ხალხნი წინ გაუვლიდნენ ხოლმე და თავსაც აღარ უკრავდნენ იმას.—

ყველანი ანნას დედოფალს შემოერტყნენ და ამას მიაქციეს პატივისცემა. ეს უნდა გამხდარიყო მართებლად სამეფოსი.

როგორც ფერ მკრთალი ვარსკვლავი, რომელსაც წინ უფარავს სი-სხლის კუდიანი ვარსკვლავი, ისე გაქრა მეფეც.

მაგრამ სასულიეროების დამხოცმა სიკვდილმა არ დაივიწყა უსასულო-ჩიც:

ამ დროს მივიღე შალონიდგან წერილი მამის ბეჭდით: საწყალი მამა ჩემიც გარდაცვლილიყო. ამან მოუმატა ჩემს მწუხარებას, ჩემს ცრემლს. ყველანი, ვისაც კი უყვარდი, იკრიფებოდნენ თითო თითოთ ამ ქუეყნიდგან.—ოხ, მამავ! შემავედრე ღმერთსა, დამიხსნას სხვა უბედურებიდგანაც.—

კარდინალის სიკვდილის შემდეგ გახსნა ტუსაღებისათვის კარები ბასტილიისა. ერთს საღამოზედ ჩემსას შემოვიდა რაღაც კაცის მგზა-ვსი ძვლები, გამქრალის თვალებით, სიკვდილის ფერ დადებული! ნუ თუ ეს ბესომპიერის მოლანდება არის?—

ჰო, ეს ავანტიურიერი მოხუცი, საცოდავი, კანკალით ჩემკენ მომავალი ჩამომხმარი ისე, რომ აღარავის აღარ შეუძლიან ცნობა, ეს ის არის, ჩემი მარშალი! მე მივიღე ის ჩემს მოხვევნაში და ჩუენი ცრემლნი შევაერთეთ. იმას აღარავინ არა ჰყვანდა ქუეყანაზედ ერთი მმისწუ-ლის გარდა, რომელიც თორმეტი წელიწადი იყო წასული მგზავრად და არავინ იცოდა ცოცხალი იყო თუ მკვდარი.—ბესომპიერმა მთხოვა მი-მეცა ნება, ჩემს ახლოს დალიოს მან სული.

სად არიან ჩუენი მშვენიერნი წელნი სიყმაწვილისანი, ჩუენი სიხ-არული, ჩვენი სამიჯნურო შექცევანი?

მარშალი ემგზავრებოდა თავის არდილს. ყოველის მზრუნველობით იგი იყო შემორტყმული ჩემსას. მე ყოველივე ღონე მოვიხმარე და-მებრუნებინა იმისთვის სიმრთელე და ბედნიერება; მაგრამ ყოველი

აძალა სხეულისა მოჰკლებოდა მას; იმედი არ იყო არავისა, თვით-ონვე ესმოდა ესა და კიდეც მაცნობა მოახლოვება თავის სიკვდილისა.

მასამდისინ რიშელიეს გამოუჩნდა სრული მემკვიდრე: ავთარს მემ-კვიდრედ

დარჩა მელა, ლაქუცით, მაზარინმა მიიღო ისა, რაც რიშელიემ თავის ბარბაროსობით. მეფემ დანიშნა ეს ეშმაკი იტალიანელი სოვეტის ჩლენათ დედოფალთან. მეფის სიკვდილის შემდეგ, მაზარინმა სრუ-ლებით შეიპყრო ანნა დედოფლის ჭკუა. არწმუნებდნენ, რომ დედო-ფალს მეგობრობის გარდა სხვა უფრო ძლიერი გრძნობა მიიზიდავდა ამ კაცთან. მე არა მჯეროდა.—

გერცოგინია დეშევრეზი დაბრუნდა ისპანიიდგან. რა თქმა უნდა რომ ამან მოიტანა ნიშანი მხიარულებისა; მე პირველმა მივიღე იმისა-გან მიწვევა ვეჩერებში.

დედოფალი გარდმოსახლდა ლუვრიდგან კარდინალის სასახლეში, რომელიც ამის ანდერძით დარჩა სახელმწიფოთ. მა დროიდგან იმ სა-სახლეს ეწოდებოდა პალე-როიალი. მისი დიდებულება ყოველს სა-ღამოზედ შეკრებულებაში პრძანდებოდა ხოლმე გერცოგინიასთან, და გვალაპარაკებოდა ჩვენ დიდის მოწყალის თვლით და გულით.

-მინისტრი მაზარინი იშვიათად გვაჩვენებდა ხოლმე თავის მელა პირის სახესა, და მოჰყვანდა ხან თავისი დისწული გორტენზია, მშვ-ენიერი ქალი, დიდრონის, საოცრის და შეუპოვრის თვალებით, რომელზედაც ედგა, როგორც კრკალი, შავი სქელი წარბები. ნინო-ნას ტუჩების შემდეგ ყველაზედ უკეთესი ტუჩები ჰქონდა და კაცნი, გიჟდებოდნენ. ამათში ზოგი გავიცანით, ზოგს განუახლე ცნობა.

გავლო უკვე სამმა წელიწადმა სენმარსის სიკვდილის შემდეგ. მავ-ლას შავმა დრომ თითქოს ამოსწმინდა ჩემის გულიდგან მწუ-ხარე მოგონებანი ამ ყმაწვილზედ.—

გერცოგინიას ვეჩერებში მე კვალად მივიღებდი ხოლმე თაყვანის-ცემლების მოსალმებას. ბევრნი მპოვებდნენ მე ჯერ ისევ ლამაზად, და მათ შორის პირველი იყო გერცოგი დებოფორი, ის იქნებოდა ოც და ათის წლისა და უცხოს სახისა. ის მაგრძნობინებდა, რომ მზ-ათ არის სენმარსის კანონიერი ადგილი დაიჭიროს ჩემს გულში. იმას სრულიად შეჭმული ჰქონდა თავისი ქონება. იქნება ჩემს ქონებას სარბდებოდა? მაგრამ ის მარწმუნებდა, რომ ჩემს მზითევზედ მე უ-

ფრიად უყვარხარ მე კვალად მივეცი ჩემს სიხუცესა და ყურს უგდე-ბდი ამ საშიშ ლაპარაკსა, თუმცა ჩემს სახეს და განცხადას უნდა დაემა-ლათ ჩემთვის ეს ახალი სიყვარული.—ჩემს საუბედუროთ გერცოგ დებოფორმა ორი საქმე ერთად დაიწყო: ჩემი სიყვარული და მე-თქმა მაზარინის წინააღმდეგ.—მაგრამ ისე ცუდათ ვფარამდა ამ თავის საიდუმლოსა, რომ ჩქარა გაუგეს მას ეს განზრახულება და დედოფალმა ჩასცა ვენსენის ციხეში.—

მე კვალად მეთხოვნა იმისი პატიება; მაგრამ დედოფალმა მშრალად უარი მითხრა, იმას ეგონა, რომ მეც ვიცოდი დებოფორის განზრახ-ვა და ვჭმალავდი, მისმა დიდებულებამ არ დაიჯერა ჩემი რწმუნება უცოდინარობის გამო. ამ მკაცრ ქცევამ დაავიწყა მას ყოველი ჩემი სიკეთე და სამსახური.—

აი მეფური მადლობაც!

ამის შემდეგ მე მომძულდა ყველა ვეჩრები. მანამდისინ ბუსომპიერიც შესუსტდა: მას უკვე სისხლი ამოსდიოდა პირიდგან, და ჩქარა მივი-ღე უკანასკნელი ამოუშვენა მისი, ჩემის საუკეთესო მეგობრისა—ისიც რიშელიეს მსხვერპლი იყო. მარშალი ისე იყო დაბადებული, რომ მიეღწია ასი წლისადი ეცოცხლა, თუ რომ იმის სიმრთელე დიდხანს საპყრობილეში ყოფნას არ მოეშალა. იმას არავინა ჰყვანდა ახლო ნათესავი დის წულის გარდა, რომლის ამბავიც სამი წლიდა-დი იყო არა ჰქონდარა და სქოიც იყო დარწმუნებული, რომ ის გემი, რომლითაც მოდიოდა ეს ყმაწვილი კაცი მექსიკიდგან, დაიღუ-პა მთლათ ხალხით და ბარგით.—ამისი სანგრძლივი სიჩუმეც ამტ-კიცებდა ამ ხმებსა; ამისათვის ბუსომპიერმა ანდერძით მე გამხადა სრული მემკვიდრე თავისის ქონებისა.—მაგრამ არ გავლო ერთმა თვემ ბუსომპიერის სიკვდილის შემდეგ, იმის დისწული მოვიდა. მე ყოველი ქონება ბიძისა დავუბრუნე იმას და მხოლოდ ჩემთვის იმისია პორტრეტი დავინარჩუნე, ამ შემთხვევისთვის ყველგან ჩემს დიდსუ-ლოვნებაზედ ლაპარაკობდნენ და მაქებდნენ.—მე ისიც საკმაო შეძლება მქონდა, და დიდი სიმდაბლე იქნებოდა: გამეცარცვა ყმაწვილი კაცი, რომელსაც თავისი არა ჰქონდარა შეძლება.—

აი, მე კვალად დავრჩი ქვეყანაზედ მარტოკა, ყველასაგან დავიწყე-ბული. ვის დარჩება საშიდარი, რომელსაც მეც მეწვევა სტუმრად სიკვდილი? ვინ მანუგეშებს, ვინ მომიგონს სიბერის დროსა?—

(შემდეგ წიგნში გაგრძელდება.)

# ისტორიული მიმოხილვა

## რუსეთის და საქართველოს მეფეთა შორის

—

რუსეთის მოციქულებს ჰქონდათ საიდუმლოთ რჩევა მეფე კოსტანტინესთან თეიმურაზ დავითის-შვილზედ. მოციქულებმა უთხრეს, რომ რუსეთის მეფის ბძანება იყო ალექსანდრეს გაეგზავნა იმისათვის თავის შვილის შვილი თეიმურაზ, რომლისათვისაც რუსეთის მეფე ფიქრობდა მიეცა თავისი ქალი ცოლათ; მაგრამ ნაცვლად ამისა იმისმა ბიძამ გაგზავნა თეიმურაზი სპარსეთის შახთან, ამ მიზეზით მოციქულებმა გაგზავნეს რუსეთის მეფისაგან მოწერილი წიგნი ამ საგანზედ შახ აბასთან, რომელმაცა უპასუხა, რომ, რადგანაც ოსმალები ავიწროებდნენ იმ ჟამად სპარსეთსა, ამისათვის ჯერ დრო არა ჰქონდა მიეღო მოციქულები და პასუხი მიეცა, მაგრამ აღუთქვამდა კი რამწამს დაბრუნდება ქალაქს განჯაში, მაშინვე ამაზედ პასუხს მოსცემდა და დაუმტკიცებდა რუსეთს თავის მეგობრობას. —დროება გადიოდა, მაგრამ ამ აღთქმას ბოლო არა ჰქონდა. შემდგომს რუსეთის მოციქულებმა მოაგონეს კოსტანტინეს, თუ სურდა დაემტკიცებინა რუსეთთისათვის თავისი ერთგულება, მიეწერა შახაბასთან, დაესწია როგორმე თეიმურაზ ბატონის-შვილი და გაეგზავნა რუსეთის მეფესთან. ამაზედ კოსტანტინე უპასუხებდა, რომ თეიმურაზ იმყოფებოდა სრულს შახის ქვეშევრდომობაში, — ამას გარდა ის იყო მიცემული ნებით თავის მამის ალექსანდრესაგან იმ აზრით, რომ მიეღო იქ მაჰმადის სარწმუნოება. რა განვლო რამდენიმე დრომ, კოსტანტინე მივიდა რუსეთის მოციქულების სანახავათ სადგომზედ, დაიწყო

ლაპარაკი და პირველადვე ჩამოუგდო სიტყვა ალექსანდრეს ორგულო-ბაზედ. იმან უთხრა მოციქულებს, რომ ალექსანდრეს განგებ გაგ-ზავნა თეიმურაზ შახთან, მოერიდებინა რა არის რუსეთის მეფემ არ წაიყვანოსო. მაგრამ თვითონ კი აღუთქვამდა, რომ მისწერდა წიგ-ნს შახსა, და სთხოვდა თეიმურაზ ბატონისშვილი გაეგზავნა რუსეთ-ში. ბოლოს რა ეს ასე დაასკვნეს, კონსტანტინემ გაისტუმრა მოციქ-ულები ქართლისკენ გიორგი მეფის საზძარებელში. ამათი აზრი მაინც ის იყო, რომ აქ უნდა მოსულიყვნენ, შესახებ გიორგი მეფის მისათ-ხოვარის ქალისა.

15 აპრილს, მოციქულები მოვიდნენ ქსნის ერისთავის მამულში სა-დაც მიეგება თვით ქსნის ერისთავი, რომელმაც აცნობა, რომ ბძა-ნება იყო ქართლის მეფისაგან მიეღო ისინი კარგათ და რაც რამ საჭირო იყო, ყოველიფერი მიერთმივათ, ამას გარდა დააყენა ისინი საქართველოს სამზღვრითგან თხუთმეტს ვერსზედ. ქართლის მეფემ გიორგიმ გამოუგზავნა მოციქულებს ეპისკოპოზი თეოდოსია და ერ-თი დიდებულთაგანი ასლამას ბეგი, თავისთან მისაწვევად. 27 რიცხვში მივიდნენ მოციქულები იმასთან, რომელმაც გამოაგება ორი ეპისკო-პოზი და ერთი საბერძნეთის მიტროპოლიტი, 28 რიცხვს, გიორგი მეფემ მიიღო თვის საკუთარ კარავში, სადაც არ დამჯდარა, მინამ ლაპარაკს გაათავებდა მოციქულებთან, მაიღო მეფის წიგნი და აკოცა ბეჭედს. მოციქულებმა უთხრეს, რომ რუსეთის მეფე მზა არის მიი-ღოს ქართლი თავის მფარველობასაქვეშე. ქართლის მეფემ მიუგო, რომ ამაზედ ის დიდად მადლობელს არის და მზაა მიიღოს რუსეთი ქვეშევრდომობა და მოითხოვდა ბოდიშს, რომ აქამდისინ ვერ გაგზავნა მეფესთან თავისი მოციქულები ამ საგანზედ.

2 მაისს, გიორგი მეფემ გამოუგზავნა სადგომზედ მოციქულებს ეპისკოპოზი თეოდოსია, ქსნის ერისთავი და ერთი თავის კარისკაცი დიდებულთაგანი, რომელსაც ეწოდებოდა ასლამას და დაიბარა, გამო-ეცხადებინათ მადლობა რუსეთის მეფისაგან ასე პატივის მიცემისათვის და უფრო ამაზედ, რომ აბედნიერებს და სთხოვს თავის შვილისათვის ბორის თეოდორიჩისათვის ცოლად, გიორგის მეფის ასულს ელენეს, მაგრამ დიდად კი ეშინიან სპარსეთისა და ოსმალოსი, რომ უფრო შე-აწუხებენ საქართველოს, რა შეიტყობენ ამ გვარს ამათ კავშირს. რუ-სეთის მოციქულებმა მიუგეს, რომ რაკი რუსეთის მეფე თავის შვილს

ბორის ფეოდორიჩს შერთავდა ცოლად ქართლის მეფის ქალს ელენ-ეს, და რაკი მოყვრობა ექნებოდა, მაშინ რუსეთი ძრიელ თავგამო-დებული იქნებოდა და ქართლის მტერს თვითან მოიგერებდა.

გიორგი მეფემ მიუგო, თუმცა თანახმა არის ის თავის ქალის მი-თხოვებაზედ, მაგრამ მალე კი არ შეუძლიან გაისტუმროს რუსეთში რადგანაც ჯერ სრული წლოვანი არ იყო. ამაზედ მოციქულებმა უპასუხეს, რომ მაინც ბატონისშვილის ელენეს წაყვანა ექვს თვეზედ-ადრე არ შეიძლებოდა, ამ ექვსის თვის განმავალობაში უნდა მოემზადებინათ და ესწავლებინათ ენა რუსული, იმათი ჩვეულება და ხასიათები, მინამდისინ სრული წლოვანი შ იქნებოდა, ამას გარდა გიორგი მეფე არ შეწუხებულიყო თავის ქალისთვის გზის ხარჯზედ, რადგანც რუსეთის მეფემ სამგზავროდ დაუნიშნა ორასი თუმანი, მოციქულები ჩააგონებდნენ გიორგის ყოველ სარგებლობას ამ გვარ მოყვრობისაგან წამომდგარს, ამას გარდა ქრისტიანობრივი სარწმუნოება იქნეოდა მყუდრო და მშვიდობიანს მდგომარეობაში.

5 მაისს, გიორგი მეფე სრულის კმაყოფილებით დათანახმდა, თავის ქალის გათხოვებაზედ და ეს კმაყოფილება გამოუცხადა რუსეთის მოციქულებს, რომელთაცა დაუნიშნა ორვა მაისი ბატონისშვილის ელენეს სანახავად, თამარ დედოფლის სენაკში (გიორგი მეფის მეუღ-ლისა) რუსეთის მოციქულები მოვიდნენ ელენე ბატონისშვილის სა-ნახავად. ბატონისშვილი ელენე იჯდა დიდს ბალიშზედ; თვალ-მარ-გალიტით მოჭედილზედ; დედა მიწა დაფენილი იყო ოქროს ქსოვი-ლითა. ზემოთგან წამოსხმული ჰქონდა ელენეს წითელი ხავერდი ოქრომკედით ნაკერი. წამოსასხამ ქვეშ ეცვა სრულებით ოქრომკედით ნაკერი ფარჩეული. თავზედ ეხურა თვალ მარგალიტით მოჭედილი ქუდი. მარჯვნივ უჯდა ბებია (გიორგი მეფის დედა) ხოლო მარცხ-ნივ დედა,—თამარ დედოფალი, მეუღლე გიორგი მეფისა. ამას ეცვა შავი ხა ერდის ტანისამოსი, ეს თალხები ამისათჳს ეცა, რომ იმისი მმა ალექსანდრე დიდი ხანი არ იყო, რაც მოეკლათ. რუსეთის მო-ციქულებმა ტატიშევმა მძიმეთ თავი დაუკრა და მიართვა საჩუქრად რუსეთის მეფის სასძლოობაზედ. ორმოცი ნაჭერი სამური ბეწვეული. რომელზედაც მადლობა უთხრეს. ამის შემდგომს გიორგი მეფემ უბძანა თავის ასულს, ამდგარიყო ფეხზედ, მერე მოიღო ლე-რწამი, გაუზომა ტანი და მისცა ტატიშევს, რომლისათჳსაც გამო-

ქტანებინა ეს ზომა რუსეთის მეფეს და რომელზედაც ერთი მტკველოთ დაბალი იყო ბარონის-შვილი ელენე. — ელენე თუმცა არ იყო ლამაზი მაგრამ სახე ჰქონდა სასიამოვნო. პირის-სახე ჰქონდა თეთრი, თვალები შავი. ცხვირი თუმცა არა დიდი, მაგრამ წესიერი, თმები წითლათ შეღებილი, ტანი ჰქონდა მოხრილი. მაგრამ ძრიელ წვრილი სიყმაწვილისა გამო, გიორგი მეფემ უთხრა, რომ მაშინ ის იყო ცხრა წლისა. ძმა ქალისა ლუარსაბ. უფრო ლამაზი იყო დაზედ, მხოლოდ მეტად გამხდარი იყო. ამის შემდგომს გიორგი მეფემ გაიყვანა მოციქულები მეორეს ოთახში და ჰკითხა, რასა ფიქრობდნენ იგინი, ღირსი იყო ამისი ქალი რუსეთის მეფის შვილის ცოლობისა თუ არა? ამაზედ უპასუხეს მოციქულებმა, რომ ელენე ბარონის-შვილი ღირსი იყო იმათის მეფის შვილის ცოლობისა და სთხოვეს ნება მეფისა წაეყვანათ ისინა, გიორგიმ უთხრა, რომ თვითონაც ისინი ხედავენ როგორც პატარა არის ელენე. და მამაპაპისა ჩვეულებით. მანამ თორმეტის წლისა არ მიეჭნებოდა. ქალის გათხოვებას არ შეიძლებოდა, ამას გარდა. ორი შვილი ჰყავდა. ერთი ვაჟი ლუარსაბ. რომელსაცა უწოდებდა თავის თვალის ჩინათ. და მეორე ქალი ელენე. რომელიცა იყო იმისი გულის გამამხიარულებელი. ეს ორივე მოეთავსნენ გიორგი მეფის ბედნიერებასა. და მესამეს მხოლოთ ღმერთის ჩვენებით რომელსაც ქალსა ათხოვებენ. ხამეფო ჰკითხამენ ნებას დარიგებას და თუ მესამეთაც ადგიარს. მაშინ ჯვარის წერაც მოხდება, — ამისათვის რუსეთის მეფე არ უნდა აჩქარდეს ამ საქმეზედ.

რუსეთის მოციქულებმა უთხრეს გიორგი მეფეს. ეს მაინც ექმნა და დაეფიცნა რუსეთის ქვეშევრდომობაზედ. და რა წამს ელენე შემსრულიყო სრული წლოვანი. გაეგზავნათ რუსეთში. ამაზედ დათანხმდა გიორგი მეფე. ორივე მხრივ დაიფიცეს. გული მოეწერეს და ფიცის ფურცლები გაცვალეს. ფიცის გრამოტაში მოხსენებული იყო, რამწამს ელენე შეიქნებოდა სრული წლოვანი გაეგზავნა რუსეთში. — მანამდისინ უნდა გაეგზავნა მოციქულები. ერთი თავისი ბიძა ხოსრო და მეორე ეპისკოპოზი ფეოდოსის. — რა ეს გაათავეს. გიორგი მეფემ მისწერა წიგნი რუსეთის მეფეს, როგორც ამა ამას სწერს წიგნსა, და 8 გაისტუმრა ტატიშევი მრთელის თან მოყვანილის სვიტით. —

ი. კერესელიძე

# 1. მაჰმად და ხალიფნი:

(ნათარგმნი)

მაჰმად ფეღამბარი დაბადებულა 570 წელსა ქრისტეს შობითგან ქალაქსა მეკკასა, დედა მისი ამენა იყო ისრაელის ქალი, მამა აბდულა იყო კეთილ-შობილთაგანი კორეიშიტის გჳარისა,—აბდულა გარდაიცჳალა ახალ გაზდობაში. შემდგომ სიკვდილისა დასტოვა მხოლოდ ხუთი აქლემი დ ერთიც იეფიოპელი ტყჳე. მეექჳსე წლისად-ზედ მაჰმადის დედაც გარდაიცვალა, მაშინ დაობლებული მაჰმადი აიყვანა თავისთან იმისმა ბიძამ აბუთალიბმა.

აბუთალიბს ებარა ზედა-მხედველობა ქაბისა, რომელიც იყო სა-ხალხო არაბების სალოცავი ადგილი. მეკკის სალოცავში შენახული იყო შავი ქჳა. იმას ზედა არაბნი წარმოიდგენდნენ, რომ გამოგზავნილი იყო ღჳთისაგან აბრაამისათჳს გაბრიელ ანგელოზის ხელით. *. როდესაც შენდებოდა ესსალოცავი, მზგავსად მისა, ვითარცა ქრისტიანნი მიდიოდნენ იერუსალიმსა სალოცავათ საფლავისადმი უფლისა

---

* ამშავიქჳსწარმოება ეყოფილა, ყურანის სწავლებით: აბრაამ ყოფილა ფეიქრის შვილი, ყამსა მეფობისა იეგჳპტის აზარია მეფისა, აბრაამს შეურთავს ცოლად სარა, რომელიც ასეთი მშჳენიერი ყოფილა, რომ აზარია მეფე იმისის სიყჳარულით თითქმის შეშლილი იყო, აბრაამს შეეშინდა ამისთანა უგუნურის სიყჳარულისაგან რომ შემდგომს არა მოხჳდესრა ცუდი, გაიქცა თავისის ცოლით არაბისტანში. ამსაგანზედ ზღაპარ-მთქმელი ხალხისა ესე ამბობს, გაბრიელ ანგელოზი გამოეცხადა ერთხელ აბრაამსა, აცნობა მას ბძანება ღჳთისა, რომ აეშენოს სახლი იმ ალაგზედ საცა» აგარმა» მოიპოვა კეთილის მოქმედი წყარო, ესე აგარ გამოიქცა სახლიდამ თჳსისა მებატონი აბრაამისა; აბრაამმა დამორჩილებით აასრულა ბრძანება დ მაშინჳე

აგრეთუჱ არაბნიც მიდიოდნენ მეკკასა თაყჳვანის საცემლად თავიანთ წმიდანებისა. შვიდჯერ ჩქარის ლაჯების გადმოდგმით მლოცავნი შემოუვლიდნენ ქაბასა, შვიდჯერ ემთხჳჱოდნენ ქჳასა, და შვიდჯერ გადაისროდნენ ქჳასა მიწის მინდორსა **. სულ ეს ჩჳეულებანი არიანაქამომდე მათ შორის.

აბუთალიბი იყო გამრჯე და გამბედავი ვაჭარი: მალ მალე მიდიოდა შორი გზას და ზოგჯერაც თან წაიყჳანდა მცირე წლოვანს მაჰმადის, ეს ყმაწვილი აღიზარდა სახლსა შინა ბიძისა თჳსისა და შეიქნა საუცხოვო ყმაწვილი; ყველას მოსწონდა მისი ტანადობა, კარგი შესხედულობა, სასიამოვნო ღიმილი, მაღალი და სასიამოვნო ხმა. —

ცამეტის წლისა რომ შეიქნა მაჰმადი, წავიდა თავის ბიძასთან სირიაში და გაიცნო იქ ქრისტიანის ბერთაგანი სერგია, რომლისაგანაც შეიტყო ამან ზოგი ერთი ანბავი სინაის მონასტრისა და ქრისტეს

---

წა[illegible]იდა ნაჩჳენებ ადგილზედ; ის იყო უდაბნო, სადაც არა იპოებოდა რა შენობისათჳს მასალა, მხოლოდ ამ სიძნელეს ეშჳელა იმითა რომ არაფატის მთა ჩამოიქცა და იქიდამ ჩამოგორდნენ ქჳები ვიდრე წყაროსთან, იმათგან პატრიარქმან აშენა მცირედი ოთხ კუთხიანი ოთახი, და დაარქვა მას ქაბად ანუ ბაიტ ალლაჰ (სახლი ღჳთისა) შენობა სულ იყო გათავებული, რაც ქჳა იყო იმ შენობაზედ მოიხმარა, მხოლოდ მათგანი დარჩა ერთი, რომელმანც დაიწყო საბრალოდ კჳნესა. აბრაამს შებრალდა იმისი საჩივარი, უბძანა არ ინაღვლოს; მოვა დროება რომ შენ მეტს პატივსა გცემენ ვიდრე დანაშთენს სხვებსა

და მართლად აღსრულდა იმისი წინასწარმეტყველობა. ეს ის ქჳაა, რომელსაცა ჰქვიან შავი ქჳა, ჰაჯერ-ულ-ასნად «ცის ქჳა» ადამისაგან ხმარები ქაბის შენობაზედა, რომელიც დაიქცა წარღვნის დროს

**. ყურბან. ბაირამის დღესა ყოველმა მლოცავმა, უნდა თავისი ნასამღჳთო დაჰკლას დურამდის - ესე იგი შჳადღემდის. მიწის მინდორში მლოცავნი უნდა დარჩნენ სამს დღეს, ეს დროება იმათ უნდა გაატარონ ლოცვითა; ყოველ ლოცვის გათავებაზედ უნდა გაისროლონ თვითო ქჳა, რომელიცა აუკრეფიათ, ყოველს ჰაჯის ანუ მლოცველს შვიდი ქჳა მეშარში მოზედელიბში მდებარე მიწისა და არაფატის მთის შუა დიდს მოგროვილს გორაკზე, იმით წარმოიდგენენ ამოხოცვასა იბლისისა ანუ ეშმაკისა.

სარწმუნოებისა. თოთხმეტის წლისა იყო, რომ გაჰყვა თავის მამას-თან ჯარში თავიანთ მტერთან, იქ გამოაჩინა დიდი ვაჟკაცობა. რო-დესაც შეიქნა ოცდახუთის წლისა, მიუდგა სასძლოსა მდიდარის ქვრივსა. ხადიჯისა, ისევ თავისი კორეიშიტის გვარისა.—ბევრჯერ წავიდა ის იმისთვის სხუა ქუეყნებში სავაჭროდ, მადლობის მაგიერათ გათ-ხოვდა მაჰმადზედა და ამ შემთხვევით შეიქმნა მდიდარი ვაჭარი.

## 2.

ვაჭრობითმა მოგზაურობამან, დიდმა ალღომ მიცემამ მეკკაში, მე-დინებზედ და ქაბაში, გააცნეს მაჰმადი ისრაელებთან და ქრისტიანებ-თან. ამასობაში ამან თუალი გაახილა. უფრო საკუთრივ მცნობი შე-იქმნა თუ რა არის საჭირო თავის ქუეყნისათვის, იმან შეამცნო დაცემა სარწმუნოებისა ისრაელთასა, უთანხმობა ქრისტიანეთა მორწმუნეთა შორის და არ მოინდომა მიდგომა არცა იუდეებისა და არცა ქრისტიანე-ბის სარწმუნოებისა. იმისი ქუეყანაშიც გამოცდილებულ იყო ამაოდმო-რწმუნება, და ხალხიც იყო ერთმანეთში გაყოფილ ურიცხვ გადამტერ-ებულ თოხუმებად, რომელნიც უნაყოფიერო ბრძოლაში მოაკლდებოდ-ნენ თავიანთ უკეთესსა ძალასა. ორმოცის წლის რომ შეიქმნა, მაშინ უთხრა მაჰმადმა თავის ცოლსა, რომ ეჩუენა, ვითომც იმას (კურ-თხეული ღამე:) როდესაც იმას ეძინა გარის გამოქვაბულში, წარმოუ-დგა იმას ანგელოზი და უთხრა: მაჰმად, შენ [illegible] ხარო-ღუთისა, და მეც გაბრიელი ვარო, ხადიჯამ დაუჯერა მაჰმადს და დაი-ფიცა მასზედა, ვისაც უჭირავს ხელში მისი ხელი, რომ მაჰმადი წი-ნასწარმეტყუელია» მერე დაუჯერეს, მამამ ხადიჯისამან, ალიამ, ცხ-რა წლის უმარწვილმან შვილმან აბუთალიბისამან, შემდგომში მრავალ პატივცემულმან აბუ ბექირმან(ჭეშმარიტი მოწამე:) და მოადგილე მა-მადისა და მონამან მისმან ზეიდმან, რომელსაც მაშინ ჩუენ განთავს უფლება მი-სცა.

## 3.

სამს წელიწადს ჩუმად ცდილობდა, ძლივს იშოვა ორმოცი კაცი თა-ვისი ერთგული. მეოთხე წელიწადზედ გაბედა ცხადათ სასალხოდ გამოხვლა წინასწარმეტყუელად. იმან მოიპატიჟა თავისთან ორმოცი კაცი სადილათ, თავის თუხუმის კაცებისა, დაუხუდა მათ პურითა, ბატ-კნის ხორცითა და მაწვნითა. იმან თქუა, არავის შეუძლიან ჩემს გარ-და, რომ თქუენ სიკეთე ეყოსთ, მე მომაქუს თქუენთჳს კეთილი

აქაურის და საიქიოს ცხოვრებისა, ნება ღვთისა არის, რომ მე მოგიწვიოთ თქვენ მასთან. ვისა გსურსთ, რომ იყოთ ჩემ ვეზირად (შემწეთ), ვისა გსურსთ მიღებად რომელიმე ნაწილის ჩემის ტვირთისა, ვისა გსურსთ იყოთ ჩემ ძმად, მეგობრად და თანა შემწეთ, არავინ გაბედა, რომ მას, ამაზედ უპასუხოს. მხოლოდ ყველაზედ უნცროსმან და ყველაზედ უკარგისმან იქ მჯდომთაგან ალიამ, შვილმან აბუთალიბისამან, შესტა ადგილითგან და დაიძახა; წინასწარ მეტყველო, მე მსურს ყოფნად თქვენ თანა შემწეთ. მაჰმადი მაშინვე მოეხვია ალის და სხვებსაც უბძანა დაუმორჩილდით ამასო, ხოლო ყველამ გაიცინეს და დაცინებით უთხრეს აბუთალიბსა, რომ შენ ეხლა ვალდებული ხარ დაუმორჩილდე შენს საკუთარს შვილსა.

ყურადღება არ მიიღო ამ დაცინებაზედ. მაჰმადი დაუღალავად ასრულებდა თავის პლანებსა. ის ქადაგებდა საშვალ თავის გვაროვნობის კაცებთან და საშუალ თაყვანისმცემლებთან მეკკაში. ბევრნი ყურს არ უგდებდნენ იმას და თანდათან ემატებოდნენ იმას წინ აღმდეგებს; თვითონ მაჰმადისმეგობარნი ურჩევდნენ მას, რომ ხელი აიღოს თავისის აზრისგან. ამაზედ მაჰმადმა უპასუხა, უკეთუ ჩამიდონ მარჯვენა ხელში მზე და მარცხენაში მთვარე (ესე იგი, უკეთუ დამპირდნენ მე მოცემად უდიდესის სარგებლობისა), მე მაშინაც თანახმა არ შევიქნები უკუდგომად მისგან, რაცა მომიფიქრებია მე.

ძლიერი წინააღმდეგობა მოიპოვა იმან კორეიშიტებში. მათ ძალა დაატანეს უმეტეს ნაწილისა ამის ერთგულთა (83 მამა კაცი და 18 დედაკაცი) გაქცევად ახლოს ეთიოპიაში. შეადგინეს კავშირი წინააღმდეგ მაჰმადისა და ქაღალდზედ დაწერილი განაჩენი მასზედ ჩამოჰკიდეს ქაბაში.—ამაზედ მაჰმადიც უღონოდ დარჩა, რომ უნდა დაეტოვებინა მეკკა. მხოლოდ ბიძა მისი აბუთალიბ გამოესარჩლა მას, მაჰმადმაც მოიპოვა ღონისძიება—კორეიშიტების კავშირის დარღვევისა. იმან გამოუცხადა აბუთალიბსა, ვითომც ღვთით გამოუგზავნია დიდი ქარიშხალი, რომელსაც იმ განაჩენით ასოები თვითო ყვითოდ დაუხვრეტია, თვინიერ სახელისა »ღვთისა« მართლად განაჩენი გამოჩნდა დახვრეტილად. კორეიშიტები განკვირებულ შეიქმნენ ამ შემთხვევაზედ, ვითარცა სასწაულ-მოქმედებაზედა და შესცვალეს თავიანთ კავშირი.

ამ დროებში 629 წელსა მოკვდა აბუთალიბი და მაჰმადის მეუღ-
ლე ხადიჯაც გარდაიცვალა, ეს ორნი ბევრს შემწეობას აძლევდნენ
მას. — მაშინ მოიწვია თავისთან მაჰმადი მეორე ბიძამ ალ-აბაზმა,
მოადგილემ აბუ-თალიბისამან ქაბის ზედა მხედველობისა. — მაგრამ
მაჰმად უმეტესად იმედნეულობდა თავის თავზედა. იფიქრა, რომ თა-
ვის გვარის ხალხთან ვერ შეიძლებს უფლებასა, ის მიბრ უნდა უფრო
უმეტესად უცხოს ხალხთან, რომელნიც მრავალნი მოს ულიყვნენ მე-
ქაში, ვითარცა ვაჭრობაზედ, ეგრედცა სალოცავათ ქაბისა. თქმულითა
ახალის ამბავისა. შეიძლო ამან შეგონებად ბევრს კაცსა, რომელთაც
დაუჯერეს. — უმეტესად ღირს სახსოვარია, შემდგომი თქმულობა
მდიდრად შემკობილი წარჩინებულად, ყოველთჳს მოზიდვისათჳს არა-
ბებისა. გამოსატული სიამოვნებითის წარმოდგენითა,

ერთხელ მაჰმად ფილამბარს ეძინა გარეთ ცის ქუეშე მეკკის სია-
ხლოესა. იქ გამოეცხადა იმას მთავარ ანგელოზი გაბრიელ შესამო-
სითა მოქსოვილის მარგალიტითა და ოქროთი, იმან ამოიღო მაჰმა-
დის მკერდისაგან გული, გამოსწურა იქიდამ შავი ცუარი, ანუ თეს-
ლი პირველ შობითგან მოყოლებული ცოდვისა, და აავსო ისი სიბ-
რძნითა და მოწყალებითა. ისევ გული ჩასდო თავისვე ალაგსა. გაბ-
რიელმა მოჰგვარა მაჰმადს თეთრი ცხენი, ალბორაკი. მსწრაფი ვით-
არცა ელვა და ლაპარაკის ნიჭის მქონებელი, წინას წარ მეტყუელმა,
მოინდომა შეჯდომა მას ზედა, მაგრამ მეცნიერმა ცხოველმა არ მო-
უშუა, და ხულ ყალხზედა დგებოდა, და შეიქმნა ყურადმღებელი მხოლ-
ოდ მაშინ, როდესაც მაჰმადი დაჰპირდა, რომ იმას სამოთხეში მიიღ-
ებს. ოდესაც ეს სიტყუა გაიგონა წინასწარმეტყუელისაგან, მაშინ
ცხენმა მიუშუა და გამგებელობითა ანგელოზისამ, ერთი თუალისხამ-
სამებაში მოიყუანა მაჰმადი სინაის მთაზედა, იქიდამ ბითლეემში,
ბითლეემიდამაც იერუსალიმში. ყოველგან ამ ადგილებში წინასწარმე-
ტყუელმან ილოცა; იერუსალიმში ლოცულობდა ის ერთად აბრაამთან,
მოსესთან და იესოსთან. აქედამ ანგელოზმა წაიყუანა ის მარტო) ალ-
ბორაკი დარჩა ეკკლესიის კარებთან ), აიყუანა კიბეებზედა, რომლის
ფეხები შედგენილი იყო ოქროსი, ვერცხლისა, მარგალიტისა და სხ-
უა ძვირფასის ქუებისაგან, ეს კიბეები იყო აღმართული ყოველსავე
შვიდსა ცასა. ყოველი ცა ცალ ცალკე იყო ერთი მეორისაგან, ამ
სიშორითა, რომ კაცობრივის შეძლებითა და ღონის ძიებითა

შეიძლებოდა წასვლა ვიდრე ხუთასწლამდის, მაგრამ მაჰმადმა თავის წინა მძღოლითა გადაფრინდა სულ ეს ადგილები ერთს წამზედა. რაც დი-დებულება ნახა იმან აქა, იმისი აღწერა არ შეიძლება, ენით ვერ გამოითქმის. ყოველგან იყო ოქრო და ძვირფასი ქჳ̂ანი, ყჳ̂ლგან გაბრწყინვალებული სინათლე, ყოველს ცაში მიეგებებოდნენ და პატი-ვსცემდნენ მაჰმადსა, ანგელოზნი, პატრიარქნი და წინასწარმეტყველნი უწინდელის დროებისანი. გაბრიელმა შეიძლო ასვლად მხოლოდ მე-შვიდე ცამდის, საიდამაც ისმოდა ხმა ღ̂თისა, მაგრამ მაჰმადი უფრო მაღლა ავიდა და წარდგა წინაშე ტახტისა ღ̂თისა. ეს ტახ-ტი ეჭირა ანგელოზს აზრეილს, უდიდესის ტანითა ვითარცა აღმო-სავლეთითგან დასავლეთამდე. აზრეილსა ჰქონდა ერთი მილიონი თავი, ყოველს თავს მილიონი პირი, ყოველს პირში მილიონი ენა, ყოველი ენა ლაპარაკობდა მილიონს ენებზედა, და სულ ერთად ესე-ნი დღისით და ღამით ადიდებდნენ დაუყონებლივ ღმერთსა, ღ̂თის ტახტს ზემოდამ და ყოველის კარის თავზედ შვიდივე ცისა ასე აწ-ერია: არა არს ღმერთი თვინიერ ღ̂თისა და მაჰმადიც მისი წინას წარმეტყუ̂ლისა.

მაჰმადს თავბრუ დაესხა, მხოლოდ ხმა შეესმა ერთი, რომელმაც უთხრა მას, მიდი და მიახლოვდი დიდს უმაღლეს ღმერთსა, მაჰმადი მიუახლოვდა და დიდს ხანს ელაპარაკებოდა ღმერთსა. მიუმგზავსე-ბელი სიტკბოება, საკჳრველი ნეტარება, შეჰბერა ამის სულში და მიი-ღო სრულიად დარიგება ნებისა ღ̂თისა, და ნაბძანები იყო, მაჰმადმა არას დროს არ გაჰყოს სახელი თჳსი ღ̂თის სახელისგან, და ყოველ არაბისათჳსაც ღმერთმან განაწესა აღსრულებად დღეში ხუთჯერ ლოცვა. ლაპარაკისა შემდეგ, მაჰმად უკან დაბრუნდა. გაბრიელმა ისევ იმ პირუ̂ტლსგზაზედ ჩამოიყუ̂ანა და მოვიდნენ ისევ იერუსალიმში. იქ მაჰმად შეჯდა თავის თეთრს ცხენზედა და იმ ღამესვე მიეწია მეკკასა *.

---

*. ეს ლაპარაკი რომ გაათავა მაჰმადმა, იმისმა ბიძამ აბუ-ჯაჰლმა უთხრა: აბა ადეგ ზეზედ, მაჰმადი ადგა, უთხრა, აბა აიწიე მარჯვე-ნა ფეხიო, მაჰმადმა აიწია, მერმე უთხრა, აბა მარცხენიც აიწიეო, მაჰ-მადმა უპასუხა, როგორ ავიწიო წავიქცევიო, მაშ თუ აქ ფეხის აწე-ვით წაიქცევი, როგორ ასუ̂ტდი შენ ზეცასაო?

ამ გაბედვით, ვრცელს მოგონებას, უნდა ხალხი შეეყვანა საფიქრებელში, რომლისა წარმოდგენა ყოველთჳს ნაყოფიერად იქნების, თუმცა პირველს თქმაზედ მაჰმადისა დასცინოდნენ და მხოლოდ შემდეგ დაიწყეს რწმუნება.—აბუ-ბექირი ყჳწლას ურჩევდა, რომ ირწმუნონ, ვინაჲთგან იმისის ჰაზრით უნდა იყოს სულ მართალი, რასა ც გჳსცნობებს ღჳთის წინასწარმეტყველი.

5.

მალიად მოუვიდა ჩინებული დროება მაჰმადს. მცხოვრებთ იატრების, (მედინისა) დიდის ხნის გადამტერებულთა კორეიშიტებთან გამოუცხადეს თავი თჳსი სასარგებლოთ მაჰმადისა. გამოცხადებულად თავიანთ მიგზავნილის კაცებით დაჰპირდნენ, უკეთუ ვინმე ერჩოდეს მას, მიიღონ იმათ მაჰმადი და დაეხმარონ იმას უკანასკნელს გაჭირებამდის. ამის სამაგიეროთაც, მაჰმადმა დაჰპირდა, რომ არ დასტოვებს იმათ და თუ მოაკლდებიან ისინი თავიანთ სიცოცხლესა, იმის სამსახურში.—დააჯილდოებს მათ სამოთხითა. ამ სახით მოიპოვა მან ერთგულნი, მამაცნი მომხრენი და თავის თავისთჳს საფარვებელი, ვინიცობაა თუ რომ აგდებდნენ მას თავის სამკვიდროს ქალაქისაგან.

ნამდვილად ისეც მოხჳდა. შეატყეს ამაღლების მნიშვნელობა მაჰმადისა კორეიშიტებმა, ხელახლად შეჰკრეს წინააღმდეგ მისს პირობა. სიკვდილი მისი იყო გარდაწყვეტილი. ამაზედ იძულებულ იქმნა რომ გაიქცეს. ღამით ივლისის 16-დღესა 622 წელსა, მაჰმადი შეუდგა გზასა, თავისი ერთგულები ვინცა იყჳნენ წინათ გაისტუმრა, მხოლოდ აბუბექირი მარტო დარჩა იმასთან. ძლივს გადარჩა მაჰმადი უკანამდევნელთა თავის მტერთაგან.—მეთექჳსმეტე დღეს თავის თავის გაქცევისა, მიეწია (იატრებს) შემდგომში დარქმეულად მედინა ალ-ნაბი, ესე იგი ქალაქი წინასწარმეტყველისა.—იქაურნი მცხოვრებნი თრთოდნენ, რომ ის არ მოჰკლან. უფრო ძლიერად გაიხარეს, როდესაც მოვიდა იმათთან; ამათ კიდევ განმეორებით დაჰპირდნენ, რათგან იყჳნენ მისი ერთგულნი. ეს გაქცევა, რომელიც ანგარიშით უნდა ხალხთან დაემცირებინა მაჰმადის ღირსება, უფრო უმეტეს აამაღლა და განაბრწყინვალა მისი სახელი და დიდება, ამისთჳსაც, იმისმა მოადგილე ხალიფამა ომარმა იმისი თარიღი მედინაში იმ დღითგან დასდო, რომელშიც გაიქცა მაჰმადი (ჰაჯირი)

ამ დროითგან, მაჰმადმა მისცა თავის სწავლებასა უმეტესი სისრუ-ული და განსაზღვრება, უმაღლეს სარწმუნოებასა, დასაწყისიდგან მის-გან განწესებულისა: «ღმერთი არს ერთი და მაჰმადი მისი წინასწარ-მეტყველი». შაერთა მან ნამდვილნი დარიგებანი აღსრულებისა ნებისა ღვთისა (ისლამი) ხელფეხის დაბანვისა, ლოცვისა, მოწყალე-ბის დარიგებისა, მიუცილებელის რისხვისა, რომლისაგანაც ვერცა ერთი კაცი ვერ წავა. ჯილდოზედ და დასჯაზედ.— მაჰმადმა აღარ დასტოვა წესისამებრ დაწყობილი სწავლა. ის სწერდა, დროებით თავისთავს დარიგებასა ცალ-ცალკე ფურცლებზედ და უგზავნიდ ხალხსა, ყურანის სახელობით. მაჰმადის სიკვდილის შემდეგ, მოადგ-ილემ მისმა, ხალიფამა აბუ-ბეკირმა, სულ შეკრიბა ის დაწერილი ფურ-ცლები და შეადგინა ერთი წიგნი, რომელიც გაყოფილარის 11 თა-ვად, დაარქვა მას ისევ ყურანად.—

7

უწინარეს გაქცევისა მედინაში, მაჰმადმა განავრცელა თავისი სწავ-ლანი. მხოლოდ დარიგებითა, და თავისი მტრების შეწუხებაზედაც მოთმინებით უპასუხებდა; მხოლოდ ახლა ამოღებულის ხმლით მქადაგებლობისაგან შეიქმნა საშინელი სარდალი. ბრძოლა ურწმუნოე-ბთან შეიქმნა ახლა ვალდებულად მაჰმადის მორწმუნეთათვის. ცვარი სისხლი, დანთხეული ღვთის სახელზედა. ღამე გატარებული იარაღ ქვეშა ეუბნებოდა მაჰმადი თავის მორწმუნეთ, შეადგენს დიდს მადლს, ვინცა ორს თვეს იმარხულოს და ილოცოს, ვინცა ომში მოკვდება მას შეუნდობს ყოველივე მისი შეცდომილებანი, სამართლ-ის დღეში იმისი დაჭრილობა (იარა) ისე იბრწყინვალებს, ვითარცა ნათელი, და მათი სუნი ემსგავსება კეთილ-სუნოვანსა მუშკსა და შე-ვა ის მშვენიერს ედემის ბაღში. ის მოისვენებს იქა ოქრომკედით და აბრეშუმით ქსოვილს ბალიშებზედა. მდინარენი თაფლისა, რძისა და ღვინისა მოიმდინარებენ მასთან, ჩინებულნი საჭმელნი ყოველ-თვის მზათ იქნებიან მისის სიტკბოებისათვის.—მასთან ყოველთვის ემ-სახურებიან შავ თვალნი ქალნი მშვენიერნი ვითარცა მარ-გალიტნი, და იაგუნდნი, საუკუნოდ ახალგაზდანი, ეშხიანნი სინარნარითა და ისინი თავიანთ ქალწულებასა არ მოსცდებიან, თუ გინდა რომ გათხოვილნიცა იყვნენ.—არასდროს არ შეისმენს ის უბრალოს ლაპარაკსა, გარემშვიდობისა მხოლოდ შეისმინს სასიამოვნოსმანი მთქმელნი საუკუნო მხოლოდ ნეტარებ

ზედა.—წინააღმდეგ მისსა საშინელნი არიან ტანჯუანი ჯოჯოხეთის ვითარნიცა მოაწევენ მას ვისაც არა სურდა ბრძოლა ისლამისათჳს ანუ ვინცა სრულად უღმრთოთ დასტოვა ისი. ის შთავარდების განუქრობელს ცეცხლში, ა მისთჳს არ იქნება არ სიცოცხლე და არც სიკუდილი. ოდესაც რომ დაიწვის მისი ტყავი ჯოჯოხეთის ცეცხლში იმავ წამსვე ამოუვა ახალი კანი, ოცდაათი ადლ იანის რკინის ჯაჭვით მობმული იქნება. იმას მეტი ღონის მიება არ ექნება, საჭმელი მისი უნდა იყოს აყროლებული მძოვრი და სასმელად ადუღებული წყალი.—ამისთანა სწავლითა, მაჰმადი შეაგულიანებდა და აძლევდა მხნეობასა თავის ერთგულს კაცებსა,—საკურველის უშიშრობით დარწმუნებულნი მიდიოდნენ ომში და მტერს დაამარცხებდნენ.—

8

პირუტყულად. მაჰმადი გზავნიდა ცოტას ჯარებსა, რომ დაეცნენ კორეიშიტებისა ქარვანებსა.—პირუტყლი გამარჯვება ჰქონდა იმასა სამჯერ მორწმუნებულნი ძრიელ მტერზედ იმარჯვებდნენ—მეორეს ომში, როდესაც მიდიოდნენ სიახლოვეს მედინისა, მაჰმადი დაიჭრა და დამარცხდა.—მხოლოდ იმან მტკიცედ მიიზიდა უბედურება და იცოდა თუ როგორ უნდა დაიცვას თავისი ქსოიბარი, თავის ერთგულს კაცებთან. მხოლოდ კერეიშიტნი შემდგომ წელიწადს დაეცნენ მედინაზედა და იყვნენ დამარცხებულნი.—ამისთანა გამარჯვებამ უმეტესად შეაგულიანა მაჰმადი და მომატა რიცხვი იმისი მადიდებლებისა. არ იკმაყოფილა ომითა კორეიშიტებთან, მაჰმადი დაეცა თავის ჯარითა სხუა არაბისტანის თოხუმებზედაცა.—გარდა ამისა არაბისტანში მცხოვრებთა ურიებზედაცა.—ყოველგან იმარჯუებოდა; ყოველგან ეშინოდათ იმისი. როდესაც დაამარცხა თავისი წინააღმდეგნი, უბძანებდა ყოველგან დახოცოს ტყუენი, ვითარცა მტერნი სარწმუნოებისანი.—ამ სახით მიეწია. ცოტა-ცოტად უძლიებასა და დიდებასა; უმეტესი ნაწილი არაბისტანისა მიუდგა იმას და 622 წელს მოიწვევდა მიღებად «ისლამის» სპარსეთის მეფეს ხოსროვსა, აღმოსავლეთის იმპერატორსა ირაკლისა, მოადგილესა მისსა ეგიპტისა, და იეთიოპიის კნიაზსა ნაღიაშის.—სპარსეთის მეფემ ამპარტავნებით და თავმოწონებით დახია გამოგზავნილი ქაღალდი. მხოლოდ მოადგილე მის ბედნიერის არაბისტანისა მიუდგა ახალს მოძღურსა. იმპერატორმა ირაკლიმ, უპასუხა იმის მიწვევაზედ ზრდილობრივის წერილითა და მდიდარის საჩ-

უქრებითა, ეგრეთჳე მოასხდინა იმისმა მოადგილემ ეგვიპტისამ. ნაღ-იაშიე ცხადათ მიუდგა ისლამსა.

9

მათ შორის, მაჰმადს ჯერ ბევრი უკლდა, ხანამ მეკკა და ქაბა არ იყო იმის უფლებაში. მხოლოდ დაპყრობით მეკკისა შეიძლებოდა შეა-ქენოს უმაღლეს ყოვლისა იჭჳნეულებისა ჭეშმარიტებით მისი წოდ-ება. მაგრამ, როგორ მიაწიოს ამასა. არ იყო იმედი, რომ თავის ნებით მიეცათ და ძალით აღება ქალაქისა საშიშრათ ეჩჳენებოდა: ის, ყოველთჳს ირიცხჳბოდა წმინდა ალაგათ» ამისათჳს მაჰმადმა 627 წელსა მშვიდობიანობით მიუდგა მეკკასა და მოილაპარაკა კორე-იშიტელებთან, რომ ნება მისცენ მას მოხჳლად ქაბაში, 628 წელსა-და იქდარჩა სამს დღეს. ჟამსა ყოფნისა თჳსისა მეკკაში, მაჰმადმა მოიყჳანა ხალხი ხინანულში, თავის კეთილის ქცევითა და მოიმხრო თავისკენ თითქმის რაოდენიმე კორეიშიტელებთაგანიცა, მათ შორ-ის მხნე ხალედსაცა, რომელმანც მაჰმადი დაამარცხა ოგოდთან. მხო-ლოდ შემგომში შევიდა მაჰმადთან სამსახურში, მიიღო წოდება მახ-ვილი ღჳთისა,» 629 წელსა მაჰმადიმ იმ მიზეზითა რომ ვითომცა კორეიშიტელებმა დაურღჳწვიათ შეკრულობა მასთან. ათი ათასი ჯარ-ით მიადგა მეკკასა. მაგრამ აქაც არუნდოდა, რომ ეჩჳენოს «მათ დამყრობელად წმინდის ქალაქის .ის ცდილობდა მოესრა მეკკელები. თავის მხარეს მორიგება უნდოდამაგრა ვერ შეიძლო. მაშინ მაჰმადმა უბძანა შეუკრან ხულერთიან ქალაქს გზები, და აღუკრძალა თავის ჯარებსა კაცის მკჳლელობა. ერთ ბაშათ ხალხი კორეიშიტელ-ებისა დაეცნენ მხნეს ხალედზედ. იმან დაამარცხა ისინი და გამოუდ-გა იმათ და შევიდა მეკკაში. ჩინებული ქალაქი იყო აღებული.

მაშინ მოადგა გამოჩენილი დროება მაჰმადს თავის სიცოცხლეში ის შევიდა მეკკაში დიდებით. ჩაცმული წითელის შესამოსითა, თავის საყჳარელს აქლემზედ მჯდომარე სკიპეტრი ხელში, უკეთესის თავის ამალითა. ქალაქმა მიიღო ისი, ვითარცა წინასწარმეტყუჳელი და ვით-არცა მეფე; მაჰმადიც ხალხთან ისე იქცეოდა, არათუ ვითარცა მტერი მყრობელი, გარნა ვითარცა დიდსულოვანი მფარველი:. იმან გამოუც-ხადა, რომ მეკკა უნდა იყოს ხელუხებელი, თავის უფალი ქალაქი და აპატივა მანამდის მასთან შეურიგებელ მტრებს კორეიშიტელებს, მხოლოდ ათი კაცი, ექჳსი მამაკაცი და ოთხი დედაკაცი, გაირიცხჳა

მან თავის მოწყალებისაგან, მხოლოდ მათგან დასაჯა მან ოთხნი,
უმეტეს შერჩეულნი თავიანთ ბიწიერებითა. ქაბის ზედამხედველო-
აბ ჩაბარა იმასთან კორეიშიტელს ოსმანს, მეოთხე თვითონ
მაღმაღლა ძახილითა ხალხისა, დიდი არს ღმერთი, შვიდჯერ ცხენით
შემოუტრიალა ქაბასა და მერე შევიდა მას შინა. იქ დაინახა კერპნი,
უბრძანა, რომ სულ დაამტვრიონ და გარეთ გადაჰყარონ.

10.

მეკკა რომ დაიარე, მაჰმადმა საჩქაროთ გაგზავნა თავის სარდლ-
ები მოსაბრუნებლად თავის სარწმუნოებაზედ, ახლოს მეზობლობაში
რაც სხუა გუარის ხალხი იყო. ორმოც და ათის დღის შემდეგ,
თვითონაც გაჰყვა იმათ, სადაც რომ მიდიოდა, ყოველგან იმარჯ-
უებოდა; ხალხი ყოველგან შეშინებული იყო მისგან, თითქმის იქაცა,
სადაც იმისი ჯარები იმარცხებოდნენ,— თავისის მხნეობითა და გონ-
იერებითა იცოდა თუ როგორ უნდა გამოვიდეს სიძნელისაგან. უხვ-
ობა მაჰმადს უმატებდა იმის ერთგულებსა, და მოახლოებდა მას-
თან. თითქმის სულ ყველნი ტომნი არაბისანი, ზოგნი ნებითა,
ზოგნი ძალითა, იწუნარებდნენ მთავრად და ბრძანებლად არაბის-
ტნისა.

ოც და ათი ათასის კაცით ლაშქრად გავიდა სირიაში, წინაშე აღ-
მოსავლეთის იმპერატორის ირაკლიზედ, დიდის სიძნელით აუტანე-
ბლივს სიცხეში მიაწია იმან ტაბუკომდის.—დამასკამდის კიდევ ათის
დღის სავალი იყო. მაგრამ ველარ გაბედა იქიდამ შორს წასჳლა
იმისათჳს ისიც საკმაო იყო, რომ უჩუენა თავის კაცებსა გზა, თუ
როგორ უნდა აიღონ ქუეყნები, ისინი წაექეზა და შეაგულიანა
დაუღალებლივ ომისა წინაშე ურწმუნოთა. ებრძოლეთ, იძახოდა, ისა
როდესაც დაბრუნდა ჯარიდამ, იომეთ ურწმუნოებთან, არ ზოგავდეთ არცა
ღუთისა და არცა სამართლის დღის მწამებელთა, ეგრეთვე წინაშე ურიათა
და ქრისტიანეთა, ებრძოლეთ მანამდის, სანამ თანახმა შეიქნებიან
მოცემად თქუენდა ხარჯისა და დაგიმორჩილდებიან.

11

მაჰმადმა კიდევ მგზავრობა მიიღო მედინიდამ ახალად სალოცა-
ვად მეკკისა. ამ მგზავრობამ აამაღლა მისი პატივი და გახადა მაგალი-
თად ყოვლასათჳს მომავალის მოგზაურებთათჳს, დიდის პატივით
მოიწვიეს სულ მთელი არაბისტანის მლოცავები უმეტეს ასის ათასის

მართლ-მორწმუნებლებისა მოსდევდნენ წინასწარმეტყჳჵლსა.— მედინ-
იდამ გამოსჳლისა წაისო იმან მირონი, ხელ კითხულობდა ლოც-
ვებსა. ის შევიდა მეკკაში თითქმის ისევე ისე დიდებით, ვითარცა
ამისწინათ, ოდესაც ქალაქი აიღო.—დიდის კეთილ-მოწიწებით ემთ-
ხვია ქაბასა, მრავალჯერ მაღალის ხმით აღიარებდა თავის სარწმუნო-
ებასა, და წარმოსთქჳა წინაშე სალხისა რაოდენიმე ქადაგება, რომ
მლითაც ყოველ-მორწმუნეთა ასწავლიდა, თუ ვითარი სამღრთო-
მოვალეობა არის მოსჳლა მეკკაში სალოცავად.—

12.

ეს იყო უკანასკნელი წინათ მიღება მაჰმადისა.—აქედამ, რომ
დაბრუნდა მედინაში მალე ავათ გახდა, რომელმანც დაასრულა იმისი
სიცოცხლე. ეს ავათ მყოფობა იყო, ვგონებ მოწამლისაგან, მოქმე-
დების რომლისაც გამოჩნდა მხოლოდ შემდეგ რაოდენისამე წლისა.—
მაჰმად სასტიკათ იტანჯებოდა, მხოლოდ სასტიკარს იტანდა სა-
კჳრჳჱლის სიმტკიცითა. ერთს დღეს იმ ტანჯჳჵლობაში, უბძანა
რომ ასწიონ და წაიღონ მეჩეთში, სადაც სიწყნარითა თჳსითა და
სინანულითა ასწავლიდა იქ მოგროვილსა სალხსა. «უკეთუ მე დამის-
ჯეის თქჳჵნგანი ვინმე სასტიკათ, ეუბნებოდა ისა: გაუშვი იმანაც იმი-
სი სამაგიერო მე გადამახდევინოს; უკეთუ უპატიურად მოქცეულვარ
ვისმესთან, გაუშვი იმანაც მე უპატიურად მყოს, უკეთუ მე უწესოდ
ვისმესგან ფული წამირთმევია, მე მზათა ვარ ესლავე დაუბრუნო» ამ
სიტყჳჵბით გაათავა იმან მოძღჳრობა და დაიწყო ლოცულობა. ლო-
ცვის გათავების შემდეგ, იმან ისევე განმეორებით უთხრა სალხსა
რასაც ეუბნებოდა. მაშინ ვიღაც უცნობმა კაცმა წამოიძახა მაღალის
ხმით, «უნდა მე მამცე სამი დრახმი». წინასწარ-მეტყჳჱლმან მაშინჳჵ
მისცა რაც სთხოვა, და მადლობაც უთხრა,—იმან წამოსთქჳა უმჯო-
ბესი არისო ვიყო დამნაშავედ აქა, ვიდრე საიქიოსა,—მერე გამოუც-
ხადა, რომ ღმერთმა ნება მამცა მე აღმოვირჩიო ჩემთვის ანუ აქაუ-
რი, ანუ საიქიოს ცხოვრება, და მე ვირჩიე საიქიოსი. დიდის მწუხა-
რებით ყურს უგდებდნენ იმასა მართლ-მორწმუნებელნი. მერმე მაჰმა-
დმა მისცა მათ შემდგომნი ბძანებანი: თქჳჵნ უნდა ამოჰკვეთოთ
ყოველი კერპთ-თაყვანისცემობა არაბისტანში, არასდროს არ შეურა-
ცხყოფთ ვინცა თავის ნებით მოვა ისლამისადმი და დაუყოვნებლივ
უნდა ილოცოთ.

მ. მკვიდრენი მამრობითისა სქესისა არა ჰყვანდა მაჰმადსა: ოთხი ვაჟი ხადიჯისაგან და ერთი ვაჟი მარიამისაგან, (ეს იყო თერთმეტის ცოლთაგან ერთი) დაიხოცნენ სიყმაწვილეში. თავის მემკვიდრეთ არავინ დანიშნა იმან.—აღმორჩევა სამს სარდარს შუა მისისა აბუ-ბექირისა, ომარისა და ალისი გაუძნელდათ. მაგრამ ხშირად რომ ნიშნავდა თავის მოადგილედ ერთგულსა აბუ-ბექირს, მაჰმადი, ადრევე აძლევდა ცხადვით გრძნობასა თუ ვისთჳს სურს მიცემად თავის მოადგილობისა.

## 13

სამის დღის წინად სიკჳდილისა თჳსისა, უბძანა, რომ ასწიონ თჳთ და წაიღონ მეჩითში და სუსტის ხმითა ჯერ კიდევ ლოცულობდა. ციების სიცხეში რომ იყო, მოითხოვა იმან საწერ კალამი, მისთჳს რომ, დასწეროს ჰაზრი ახალის თჳსის, როგორც თჳთონ უწოდებდა აღთქმისა. მხოლოდ ამისთანა განზრახვა იმის მოახლეებულს კაცებს ეჩუენათ დამცირება ყურანისა, რომელშიაც ეწერა ყოველი სწავლებანი მაჰმადისა. იმათ ერთმანეთთან ბაასი გასწიეს, არა ქნეს ის, რასაც ის თხოულობდა. გაჯავრებულმან ამისთანა წინააღმდეგობისათჳს, უთხრა მათ მაჰმადმა. არ არის რიგი იჩხუბოთ წინაშე წინასწარმეტყჳელისა, და უბძანა ყჳელას რომ გარეთ გავიდნენ.—

სიკჳდილის წინად ბრძოლაში წამოიძახა მან: მივდივარ, მივდივარ ზეცაში მყოფთ ჩემს ამხანაგებთან! ის იწვა ხალიჩაზედა თავი მისი მისჳრნებული იყო თავის საყჳარლის აეშის მუხლზედა. ივნისის 17 დღესა 632 წელსა, დაბადებითგან სამოც და სამის წლისა გარდაიცჳალა.

ამბავმა იმის გარდაცვალებისამან ძალიან შეაწუხა ხალხი. პირჳელად სრულებით არ უნდოდათ დაჯერება მისი. ვითარცა ღმერთი წმინდა არსი ლაპარაკობდნენ ხალხში, რომ ის არ მომკჳდარა, მაგრამ მსგავსად მოსესი და იესოსი, შთავარდა სასუფლიეროს სიხარულში და მალე დაბრუნდების თავის მორწმუნეთა ხალხთან. თჳთ ომარი ემუქრებოდა სიკჳდილითა მათ, რომელნიც იტყვიან, რომ წინასწარმეტყჳელი აღარ არსებობს. მხოლოდ კეთილ-გონიერმან აბუ-ბექირმა გადასწყვიტა ეს ბაასი. იმან უთხრა ომარს და ყოველთა ხალხთა კრებულთა: ვის თაყჳანსა სცემთ თქჳენ, მაჰმადსა, თუ მაჰმადის ღმერთსა? მაჰმადის ღმერთსა უპასუხებდნენ მას. ის ღმერთი საუკუნოდ ცხოვრებს აბუ-

ბექირმა სთქჳა: მაჰმადი კი ვითარცა ჩჳენ ყოველნი იყო სასიკჳდი-
ლო კაცი დ̃ ვითარცა თჳთ იმანაც გამოგვიცხადა წავიდა საუკუნისადმი.
დაიწყეს მერე დავა ადგილზედ, თუ სად უნდა დაასაფლაონ.—
გარნა ეს ბაასიც გაათავა აბუ-ბექირმა. იმან დააჯერა, ვითომცა იქვე
უნდა, დაისაფლაოსო. ამისათჳს გააკეთეს აკლდამა, პოლქჳშა სადაც ცხო-
ვრებდა აეშა, დ̃ [illegible]ლო ნათესავნისადაც წინასწარმეტყჳელი მოკვდა, სხეული
მისი ჩასდეს იქა. აქამომდე გზავრნი ერთგულთაგანი მორწმუნეთაგანი
მაჰმადისა, მიდიან იმ ალაგსა სალოცავათ.—

## ისლამი.

სარწმუნოება მაჰმადისა, წოდებული ისლამად, დაფუძნებული არის
ძჳელებურს გარდმოცემაზედა დ̃ ჩვეულებაზედ არაბებისა: გარნა მათში
ეგრეთჳე გაერივნენ ზოგი ერთნი თქმულებანი ისრაელთა დ̃ ქრისტიანე-
თა.—თჳთ საქმით ჯაზრი მისი თუმცა არის ძალიან მარტივი; მაგრამ იმ-
აში ჩაწერილი წესები არიან ძალიან ვრცელ[illegible].—საფუძჳელი იმ სა-
რწმუნოებისა» ერთი არს ღმერთი დ̃ მაჰმადი მისი წინასწარმეტყჳე-
ლი». უპირჳელესი ვალდებულობა, ვითარცა ბძანებს, შეუდგების
ერთგულებასა შინა ნებისა ღჳთისასა, რომელმაც გამოუცჳლელად
განუსაზღჳრა წერა ყოვლისა კაცისა. ყოველი მართლ-მორწმუნე (მო-
სლემი) თანამდებ არს კეთილ-მოწიწებით წინაშე მისს, დამორჩილე-
ბით, ირწმუნოს ისი, ამ უპირჳელესის ვალდებულობულობასთან
უნდა იყჳნენ განუყრელად კეთილ-მოქმედებანი, ესე იგი: დაბანჳა,
ლოცულობა, მარხულობა,—დარიგება მოწყალებისა დ̃ მოგზაურობა
თაყჳანის საცემლად მეკკაში.

დაბანჳა, პირისა, ხელისა დ̃ ყოვლისა სხეულისა, არს ძჳელებური
ჩჳეულება არაბებისა, შემსგავსებული თჳთ ჯაერისა-ვითარცა გასავებ-
ასა ლოცჳსა, სადაცა წყალი არ იპოების, რომ ხშირათ შეემთხჳჳვის
არაბისტანის უდაბნოებში, მართლ-მარწმუნებელს შეუძლიან დაბანჳა
მოასდინოს ქვიშითა. იმან უნდა დღე დ̃ ღამეში ილოცოს ხუთჯერ
პირის მოქცევითა ქაბისაკენ. ეს მდებარეობა მლოცჳელისა წოდებულია
ყიბლად.—მარხულმა, ვითარცა ღონის მიება გასაწმენდათ სულის დ̃
უფლება სხეულზედა, ვითარცა ნიშანი დამორჩილებისა ღდთისადმი

და წინასწარმეტყუელისა, უნდა შეინახებოდეს ოც და ათს დღეს წელიწადში, მთელი თუე, რამაზანისა.—მარხვის დროს მართლ-მორწმუნებელნი ამოსჳლიდგან მზის ჩასჳლამდის, უნდა გაუფთხილდნენ საჭმელისაგან, სასმელისა, აბანოსი და ყოვლისა გრძნობითისადმი, რომელიც განსაზღჳრებულ არის სისწორით: ყოველ-მორწმუნებელმა უნდა განუწილოს ღარიბებს მეათედი ნაწილი თავისის შემოსავლისა; და უკეთუ სვინიდისი თჳსი ამხილებს ვითარისამე მოტყუებასა და ანუ სიხარბით სარგებლობასა, მაშინ მოწყალების გაცემა უნდა მომატოს ვიდრე მეხუთედამდის, მოგზაურობა მეკკაში ვალდებულება არის ყოვლის მართლ-მორწმუნებელისა, ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეშია,– უკეთუ ეს შეუძლებელი იყოს მისთჳს, მაშინ უნდა წლის უკანასკნელს თვის მეათეს დღეში, ოდესაც მეკკაში დიდი მსხუერპლი შეიწირების, იმან უნდა თავის სახლში იმარხულოს და დაურიგოს მოწყალება.—ბევრის ცოლის შერთჳს ნება არის მიცემული, მხოლოდ აღკრძალული არის თამაშობა და ღვინო. გამორჩევა ურიათა და ქრისტიანეთაგან დღე საზოგადოთ ლოცვისათჳს მეჩითში და დარიგების მიცემისათჳს სარწმუნოებისა დანიშნული არის პარასკევი.—ამ დღესა მართლ-მარწმუნებელნი ვალდებულ არიან დატევებად ყოვლისა თავიანთ საქმისა და უნდა შეიყარნენ სალოცავათ მეჩითებში. ქმახიან მათ ამ სიტყუებითა: დიდი არს ღმერთი, ვმოწმობ, რომ არა არს ღმერთი, თჳნიერ ერთისა ღმერთისა? ვმოწმობ, რომ მაჰმად გამოგზავნილია ღჳთისაგან? ეს დაძახების ხმა ზარებისა დარეკვის მაგიერად, მოდის მაღალის წვერ გალესილის კოშკებიდამ, რომ „ლოთაცა ჰქვიან მინარები.

სწავლება ისლამისა ამბობს საიქიოს ცხოვრებაზედაც; წინათუე ამბობს აღდგომაზე მკჳდართა და სამართლის დღეზედა, რომელიც გაგრძელდების ორმოც და ათი ათასი წელიწადი. ყოველი მიიღებს თავის მოქმედების კუალად ჯილდოსა ანუ დასჯასა, კეთილ-მსახურნი შევლენ სამოთხეში, სადაცა იცხოვრებენ ჰურიებთან; და უღმერთო კაცნი შთავარდებიან ყოველს წჳალებასა ჯოჯოხეთისასა,—

უკეთუ სარწმუნოებამან მაჰმადისამან, იქმნება მოიტანა რომელიმე შემგზავსებული სარგებლობა, მოაშორა მრავალნი წარმართნი თავიანთ კერპებისაგან, მაგრამ არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ ის დაიცჳავს თავის შორის მრავალსა სარწმუნოებას, ის ასაამოვნებს

გრძნობასა, განუსაზღვრის თავისუფლებასა სულსა, შემწეობას აძლევს განვრცელებასა ამაოდ მორწმუნეობისა, ის აჩუენებს უმეტესსა სიტკბოებასა, ადუგრძალავს ყოველსა სჯასა ყურანზედა, ასწავლის, რომ ერთი შეხედულობა ქაბისა, უმეტეს სარგებლობას მოიტანს, ვიდრე მთელის წლის სინანულისა.

## ხალიფნი

ბრძანებლები, რომ მეფობდნენ შემდეგ მაჰმადისა. არაბების სახელმწიფოზედა იწოდებოდნენ ხალიფად, ესე იგი მოადგილედ ანუ ემირად (ალ-მუმენინ) ესე იგი თავადთა მართლ-მორწმუნებლებისა, არავითარი კანონი შეავიწროებდა მათს ნებასა, თვინიერ ყურანისა, რომლითაც თანამდებ იყვნენ ისინი დახელოვნებასა, და ის ყურანის ამხსნელნიცა თვითვე იყვნენ, იმათ ჰქონდათ მნიშვნელობა მეფებისაცა და სამღვდელოებისაცა; მაგრამ თვით ომში არ მიდიოდნენ, და მიანდობდნენ თავიანთ ჯართ მიმძღოლთა. უმაღლეს მთავრობითის ვალდებულებასა ისინი ანგარიშობდნენ ლოცულობასა; თავიანთ სატახტო მეჩითებში ასწავლიდნენ ხალხსა, წარმოსთქვამდნენ წყევლასა და კურთხევასა, მისცემდნენ ბძანებასა თავის სარდლებსა.—დასაწყისში ისინი ცხოვრობდნენ, ღირსებითა ყოვლის პატივისცემისა თავდაბლად, მედინაში, მერმე მდიდრად და გარყვნილად დამასკში. იმ ქალაქში, რომელიც გათქმული იყო მაშინ აქაურ სამოთხეთა და ბოლოს ახალს აშენებულს მრავალს სასახლიანს ბაღდადში, სადაც ისინი დახელოვნდებოდნენ სხჳა და სხჳა სწავლებაზედა,

### 1. აბუ—ბექირი

აბუ-ბექირმა, მიაწია პატივისცემამდე თავისის პატიოსნებითა, კეთილ-მორწმუნეობითა და მართლმსაჯულებითა, დაამკვიდრა შინაგანმა მშვიდობიანობა არაბისტანისა და შეუდგა მაჰმადისაგან ნაჩვენებს ანდერძებსა, დაიწყო გავრცელება ქუეყნების დაპყრობისა. იმან გაგზავნა ჯარები სპარსეთში და სირიაში და იმათ ჰქონდათ გამარჯვება ორივე ქუეყნებში. დამასკი იყო აღებული 634 წელსა —

როდესაც გზავნიდა თავის ჯარის-მმართველსა იეზიდს სირიაში

აბუ-ბექირმა მისცა მას შემდგომი დარიგება: «ნუ დაივიწყებ, რომ შენ ყოველგან იმყოფები წინაშე ღვთისა, შენს ჯარებთან სასწორით მოიქეცი, მოიწვიე ძმანი შენი რჩევაზედ და ყოველთვის მოიქეცი სიმართლით, მტერთან შეხვედრაზედ იყავ მხნედ და ნურას დროს ზურგს ნუ მოუბრუნებ. ოდესაც გაიმარჯვებ,—დაზოგე მოხუცებულნი, დედაკაცნი და ყმაწვილნი. არას დროს არ დასჭრა ფინიკის ხეები, და ნუ დასწვავ ყანებსა, ნუ წაასხდენ ნაყოფიერსა ხეებსა და ნუ დახოცავ საქონელსა მომატებულსა, მასზედ, რაც საჭიროებას მოითხოვს. შენის ჯარებისათვის გასაძღომად. ეს მოცემული სიტყვა და იქნების შენთვის სამღრთო! შეიბრალე სამღვდელონი, რომელთაცა მოიპოვებ სამღრთოს ადგილებში, და იმ ადგილებსაც ნუ შეეხები. თუ იპოვის კაცებსა კუთვნილებს სწავლისადმი ეშმაკისა და თავის ქალის მოპარსულსა, იმისთანებს გაუჩეხე თავი. დასხოცე ისინი მანამდის, სანამ არ მიიღებენ ისლამსა და არ მოგცემენ ხარჯსა.—

## 2. ომარ

შემდეგ სიკუდილისა აბუ-ბექირისა, მემკვიდრედ მაჰმადისა შეიქნა მეორე სიმამრი მისი, ომარ. შეგულიანებულნი სარწმუნოებითის ფანატიზმითა, არაბებმა მოასდინეს იმის დროს განსაცვიფრო დაფუძნებანი, იმათ დაიპყრეს დიდი ნაწილი სპარსეთისა და სომხეთისა, პალესტინა და იერუსალიმიც თანა, ფინიკის ქალაქები, ტრიპოლი და ტირი, რომლითაც მოიპოვეს ჩინებული ზღვის ძალა, და ალებითა ანტიოხისა გაათავეს დაპყრობა სირიისა,—

იერუსალიმის პატრიარქმა გამოუცხადა, რომ მე მაშინ ჩავაბარებ ქალაქსა არაბებსა, ოდესაც თვითონ ხალიფა გამოცხადდება იერუსალიმში და დაამტკიცებს პირობასა. რჩევა ალიასი და საკუთარმა თავის სურვილმა აღასრულებინა კეთილ-მსახურებითი მგზავრობა ქალაქსა შინა, საიდგანაც როგორც თქმულობა არის, რომ მაჰმადი იყო აფრენილი ცაში, შეგულიანის ხალიფა აღსრულებად თხოვნისა პატრიარქისა. უმრავლესნი ხალხნი მართლ-მორწმუნებელისა, გამოძღოდნენ იმას მედინითგან იერუსალიმში. სულ ყუწლანი იყვნენ შემოსილნი თავიანთ კარგის ტანისამოსითა, მხოლოდ ომარი ყოველს ფერში იქცეოდა თავდაბლად, ჩაცმული უბრალოს ტანისამოსითა, აქლემის მა-

ტყლისაგან, ის იჯდა წითელს აქლემზედა, რომელზედაც ეკიდა ორი ტყავის პარკები—ერთში იყო ხურმა, მეორეში ბრინჯი, ხის ტაბაკი და წყლისათჳს გუდა. სადაცა ღამე დარჩებოდნენ და გზაზედ მოისვენებდნენ, ხალიფი აჭმევდა ყოველს ვინცა ვინ იყვნენ მასთან მოგზაურნი და აკურთხებდა მათს სუფრასა, ლოცვითა და დარიგებითა.— ბანაკად რომ იდგა იერუსალიმთან, იჯდა ის ცარიელ მიწაზედ უბრალო კარვის ქვეშა, იმან დაჰპირდა შეშინებულს ხალხსა ქალაქისა დაიცვას იმათი სიცოცხლე და დიდ სულოვნება.—

ალების დროს ეგიპტის სატახტოს ქალაქისა ალექსანდრიისა, ამ-რუ სარდარმა ომარისაგან მოიპოვა მდიდარი ბიბლიოტეკა, რომელიცა იყო საუნჯე მეცნიერებურის სწავლისა. იმან ჰკითხა ხალიფასა, თუ რას უყოს იმოტელს მეცნიერებურს წიგნებსა? ხალიფამ უპასუხა: იმ წიგნებში, რომელთათჳსაცა შენ აღსნებ, უკეთუ დაწერილი არის ისა, რაც სწერია ღვთის წიგნში (ყორანში) მაშ ისინი მეტი ყოფილან და უკეთუ დაიცვენ ისინი წინააღმდეგს მისსა და მაშ ისინი სავნებელ არიან: მაშასადამე, უბძანე რომ სულ ერთიანად დასწვან. ეს ჩინებული განაჩენი ამრუმ დაბრმავებულის დამორჩილებით აღასრულა. იმან უბძანა სულ ის წიგნები ალექსანდრიის ბიბლიოთეკისა დაურიგონ მეაბანოებსა, რომელიც ირიცხებოდა მაშინ ალექსანდრიაში 4000.

და ექვსთვეს ათბობდნენ იმ აბანოებსა ძვირფასის სამკვიდროთი სიმეცნიერისა.

ქვეშევრდომთა უყვარდათ ომარი, ვითარცა მამა, იმის კეთილ-მსახურებისათჳს. მაგრამ მონამან მისმან, რომელსაც არ გაუგონა სათხოვრად მისი, სასიკვდილოდ დასჭრა ისი, მაშინ, როდესაც იდგა ის და ლოცულობდა მედინის მეჩითში, სამის დღის შემდეგ ომარ გარდაიცვალა, 63 წლისა დაბადებისაგან, თერთმეტის წლის თავის მეფობაში.

## 4. ოსმან

ამრუს შემდეგ იყო ოსმან, ერთი მაჰმადის სიძეთაგანი, ბედნიერი იყო ისა, ვითარცა იმის წინა პირველნი, მაგრამ ისიც არ დარჩა დაუყვედრებელი. იმან განაგრძელა ომარისაგან დაწყობილი ქვეყნების დაპყრობილებანი. უფლება მისი დაამტკიცეს: ეგიპეტში

ამრუმში, სირიაში მოვაიმ; მერმე დაპყრობილიყო კუნძულნი: კიპრიისა და როდოსისა.—სპარსეთის მეფობას დაედო დასრულება. თჳთ ოსმან კი არასდროს არ გასულიყო არაბისტანიდამ, და მოიპოვა საზოგადო სიძულვილი თავის სიძუნწითა და უსამართლოებითა.— შეჰკრეს იმაზედ პირობა და აღრეულობის დროს, ის მოკლეს. იყო დაბადებითგან 82 წლისა

## ალია

მაჰმადის ახლო ნათესავთაგან აღარავინ დარჩომილ იყო, და სალიფათ დანიშნეს კეთილ მორწმუნე ალია. იმის გამგებლობაში დაიწყეს შინა-განნი აღრეულებანი, რომელთაცა ცოტ—ცოტა დაათუტურეს ფესვი-არაბისტანის მეფობისა, აეშა დედა მართლ მორწმუნებელთა», მოუ-რიგებელ იყო ალიასი, პირველად უმლ და იმის დანიშვნასა სალიფა-ათა, მერმე დიდის გულს მოდგინებით ცდილობდა იმის გამოცვლა-ასა. იმან აუშალა სულმთელი სამეფო, იშოვნა მსარეს მოავისა, მოა-დგილესი სირიისა, რომელიც ჯარისაგან დანიშნულ იყო სალიფათ და თჳთონ აეშა გამოვიდა ლაშქრად ალიაზედ. ეს ლაშქრობა იმის თჳს გათავდა ძალიან უბედურად: აეშას ჯარები დამარცხდნენ და თჳ-თონაც ტყუილად ჩავარდა, მხოლოდ ალის პატიოსნობით მოიქცა მასთან, ვითარცა მართლ მარწუნებლებს დედასთან. მაგრამ ბრძოლა ამით არგათავდა: მოავია შეერთდა ამრუსიან, მოადგილეხთან ე გი-პტისა; ქალაქნი წინასწარმეტყველისანი მეკა და მედინა, ერგო იმასა მხოლოდ კუფისქალაქი დარჩა ალიას ერთგულთა. ის ვერ გადურჩა თავის მტრებსა: მეხუთე წელიწადზედ თავის მეფობისა (660წელსა) ის იყო მოკლული იმავე ყრილობისაგან, რომელმაც მოჰკლა ოსმან, ამაში დაიღუპა ალია კეთილშობილი, დიდხულევანი, რომელიცა ჩანს იმისგან თქმულობაში

შეწუხებამან ალის ცოლ-შვილისამან მოახდინა დიდი განხეთქილე-ბა მაჰმადიანთა შორის. მრავალნი ანბობდნენ, რომ უფლება მემკვი-დრეობისა მხოლოდ ეკუთნოდა ალისა. და აბუ-ბექირიან, ომში, ოსმანი და სხვანი მათნი მოადგილენი იყვნენ უკანონო ბძანებელნი; კეთილ. მორწმუნეს ალიასა ისინი რიცხავდნენ წყალებულსა და წმიდათ, ეს ერთგულნი ალის სახლისანი საკუთარივ განვრცელდნენ სპარსეთში

და მიიღეს წოდება შიიითისა, აჴლა წინააღმდეგნი არიან სუნნები (ოსმანლო) რომელთაცა სწავლანი სუნნისა სწამთ თანასწორად ყურანისა, ქმენი სწავლიდნენ თავიანთ მეჩითებში ალისა. დროებამ ვერ დასძლია ეს პარტიები და მტრობა მათ შორის აქამომდეცა არის, სპარსთა ვითარცა შიიითა, აქეთ მოურიგებელი მტრობა ოსმანებთან და ურჯულოსთან, ვისაც სწამთ პირუტყვნი სამნი ხალიფანი.

## ჰარუნ—ალ—რაშიდ

ხალიფათაგან, რომელთაცა აღმოირჩიეს თავიანთთვის ადგილი საცხოვრებლად ბაღდადი, წარჩინებული იყო ჰარუნ—ალ—რაშიდი; ის ყოველთვის არის მამაცად გამოსახული არაბების ზღაპრებში. მმართველობა მისი ირიცხების ოქროს საუკუნედ არაბისტანში, იმან გამოიარა თავის ჯარით სულ მთელი პატარა აზია და ძალის-დატანებით ბერძნის იმპერატორს ხარაჯი დაადო. სრულიადის დაპყრობისათვის აღმოსავლეთის იმპერიისა იმას ჰქონდა გაბედვითი ჰაზრი, რომ დიდს კარლოსთან, მთავართან დასავლეთის იმპერიისა შეეკრას კავშირი, ამისათჳს გაგზავნა იმა დიდს მეფესთან დესპანნი, რომელთაცა სხუათა შორის საჩუქრათა მიართუეს იმას დამრეკავი საათი, ეს პირველი იყო მაშინ ევროპაში. რასაკვირველია კავშირი არ შედგა; წინააღმდეგ მისა დიდი კარლოს დაეცემოდა ისპანიაში მყოფთა არაბებზედა, მაგრამ გინდა ამისთანა წინადადები უმოწმებს დიდს სიმწიფეს ჭკუასა ხალიფის ჰარუნ—ალ—რაშიდისა.

ჰარუნ—ალ—რაშიდ საქებური იყო უმეტეს უფლისა, რადგანაც მას უყუარდა სწავლანი და ხელოვნებანი, ამასთანაც იმან გაავრცელა მოგზაურობა ზღუაში და ვაჭრობა არაბებისა, გააჩინა ქარხნები და მოლები, ააშენა მრავალნი ჩინებულნი სასახლენი; ბაღნი და წყლის გამოსაყვანი რუნი.—კარი ხალიფისა იყო შეყრილების ადგილი ყოველ ნაირის სწავლულთა კაცთა თჳს. თვთ ჰარუნ—ალ—რაშიდი იღებდა დასაჯილდოთ მშვენიერ მეტყუელობასა, რათამცა მშვენიერ მეტყუელობა მიუცილებლად საჭირო იყო ხალიფისათჳს, რომელიც ვალდებული იყო საზოგადოთ აუხსნას ხალხსა ყურანი. დამრიგებელად თავის შვილებისა დანიშნა იმან სწავლული და თვისა უფლად მგრძნობელი მალექა. მაგრამ მალექი უმისოთაც ასწავლიდა მეჩითში არაბების

ყმარწჳლებსა, ამისათვის იმან უთხრა, რომ არ გვაქუს დროება მოსწავლისა სასახლეში ხალიფისა და თჳთონ ჰარუნ—ალ—რეშიდს შეუძლიან გამოგზავნად თავისის შვილებისა იმასთან მეჩითში. უმჯობესია რომ მთავარი ემსახურებოდეს სწავლასა, ვიდრე სწავლა ემსახურებოდეს ბრძანებელსა, ეს მიუგზავნა ამბავი კეთილშობილმა სწავლულმა მალექმა. ხალიფი ამ პასუხზედ არ შეწუხდა და უბრძანა თავის შვილებსა წასულად მეჩითში, სადაცა სწავლობდნენ ისინი ბრძენ მალექთან, ერთად სხუათაშორის არაბებთან უმეტეს შვიდობიანის წოდებით.

კეთილნი დარიგებანი, ჯარებისადმი მიცემულნი პირველის ხალიფის აბუბექირისაგან: დაზოგეთ ყანები, ნაყოფიერნი ხენი და დასოცეთ საქონლისა ესოდენ, რაოდენიცა რომ საჭიროება მოითხოვდეს ჯარების განკერძოებისათჳს. ყოველთჳს არ აღასრულებდნენ არაბისტანში. ჰარუნ—ალ—რაშიდის დროსაც ეგრე იყო.—ერთხელ დედაკაცმან საზოგადოს წოდებისა, მივიდა ხალიფთან და ჩივლა იმის ჯარებზედა, რომელთაც დიდი ზიანი მიეცათ იმის მინდვრებისათჳს.—ხალიფმა შეისმინა ყოველივე საჩივარნი თავის ქუეშევრდომთანი, ცდილობდა მოაზვენოს დედაკაცი და ჰკითხა; განა არ ითხოვს იმას ადგილნი ყურანისა, სადაც სწერია: როდესაც გადიან ლაშქარნი დიდის ხემწიფეებისა, ისინი გაივლიან სწორეთ. ეგრეა ხემწიფევ, უპასუხა დაჩაგრულმა დედაკაცმა; მაგრამ ყურანში ესეცა სწერია, რო აოხრდების საცხოვრებელი იმ მეფეებისა, რომელნიც ამართლებენ სიმრუდესა. ამ ნაირმა გადაწყუეტილმა პასუხმა დააჯერა ხალიფი: ფიცხლავ უბძანა რომ რაც ვნება მისცემია იმ დედაკაცსა სულ მისცეს.

## ბრწყინულენი დრონი ხალიფისა.

ბაღდადი, აშენებულ იყო ალ—მანსურისაგან და იყო დიდათ გამშვენიერებული ჰარუნ—ალ—რაშიდისაგან. დასხოვნება ამ დიდებულის ქალაქისა ეხლაც ისხენება არაბების ზღაპრებში. ბაღდადში ყოფილა 40,000. მეჩითი და ამტელაც საზოგადო აბანოები. 105 ხიდი, 600, წყლის არხი, 400. წყლის წისქვილები, 4,000 ყავახანები და ამოტელაც ხაბაზების დუქნები, 100,000, ბაღი, ჩინებულნი სასა-

შადრევანნი, ხალიფის დროსა ჰქონდა შვიდი ეზო და 19,000 მამელუკები შეადგენდნენ იმის შინაურს მოსამსახურესა.—არაბული არხიტექტურა უმეტესზედ უფრო იხატებოდა დამყარებულს კოშკებზედ, გოგუმლის სადგომით და ფერად მშვენიერ ალაყაფის კარ ბჭედა რომელსაც უწოდებენ გოგუალს თაღოვანს წესზედ აშენებულსა. მშვენიერი იყო მეჩეთი კორდოვისა სიგრძე იყო იმისი 356 ფუტი. და სიგანე 450. ფუტი.—ეს იყო შემდგარი ცხრამეტის მიდგმულის ცადგმ ერთი მეორისა შესობისაგან 150 ბოძებითა და კამარებითა 19-ი ბრონზის ალაყაფის კარებითა გადაკრული ოქროს ფურცლებით' სამლოცავის ადგილის ზოდი იყო შემკობილი ოქროთი და ვერცხლითა; და მთელი შენობა განათლდებოდა ურიცხვის და მრავლის ძვირფასის ლამპებით.—კოროდის ალდამბრის სასახლე გრენადაში, თუმცა ესლა დაქცეული არის, მაგრამ კიდევ მშვენიერია. ჩისუმულება შენობისა ესლაცა ჩანან.—ეზოებში ალდამბრისა, იყვნეს გაკეთებულნი შადრევანნი; მაღკოჩებიდამ ჩნდებოდა გასხვავეროვნი სახსავნი გარემოქცეული თოვლიანნი მთების წვერებზედა. ზალის კედლები აჭრელებულნი ვითარცა ოროლი, იყვნეს გაწყობილნი შიგ ჩასმულის თავის ფერადების ქვებითა, დამყარებულს სვეტებზედ იყო გამართული გალერეები. ბაღები იყვნეს გრძელისურ ჰვანი, ამასთანა ლოდ მშვენიერება მოიპოვება ეგვიპტეშიაც, სპარსეთშიაც და ლანდის მდინარის მხარესაც, სადა იყოფებოდის დიდი. ჯერ აქაც სავსენ ძრიან დაქცეულის არაბების შენობებით.—

არაბნი საქებურნი იყვნენ სწავლაში, იმათ ისწავლეს ბერძნული ენა, სთარგმნეს თხზულებანი ბერძნების მკურნალებისა, ასტრონომებისა, და სხვათა სწავლულთა, გამართეს შკოლები, ობსერვატორიები, ლაბორატორიები სიმიკურის გამოცდილებისათჳს. მრავალნი ქრისტიანის სამღვდელოთაგანი მიდიოდნენ ისპანიაში. რათამცა ისწავლონ არაბთაგან. არაბთა მწერლებთა გამართეს თავიანთთვის ბიბლიოთეკნი და კარავაჲნი და ამასთანავე გაავრცელეს ამაოდ მორწმუნება, ვითომცა რომ მეიძლება ბნელის სნეულება მოარჩინონ ყურანის წაკითხვითა, და ვარსკვლავების ანგარიშითა შეიტყონ კაცის მომავალი ბედი. მრავალნი ლექსნი არაბის ენისაგან, გამოვიდა ევროპიულს ენებში, ვითარცა მაგალითად, ალგებრა—ანგარიში უცნობისა, მხოლოდ ერთის მოხსენიების ასოებითა, «ალკალი» ნაცართუთქის მარილი

არაბები სარგებლობდნენ ელადის ცოდნებისაგან, რომელსაც უწოდენენ გალი); ზენიტ და ნადირი, მაღალის და დაბალის მნიშვნელობის წერტილნი და სხვა მრავალნი. ამ სახით ისლამმა გამოაჩინა თავის ერთ-მოქმედებითა უფლება ევროპიული ქრისტიანეთ სწავლაზედა, მსგავსად ნიაღვარისა. პირველად ეგონებოდა, რომ დაასრულებს ხელუხლებელს რაც მოხვდება გზაზედა, მაგრამ მერე გაიყო წვრილ-არხებად და დასტოვა თავის შემდეგ შლამი სასუქით გამამდარი, რომლისაგანაც აღმოცენდნენ მრავალნი.

თ. იოსებ არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

## რედაქციისაგან

ახლანდელს დროში არა თუ მარტო ქალები, კაცებიც კი ძრიელ ეწყობიან მუზიკასა, — რომელსაც სხვათა შორის უჭირავს უპირატესი ალაგი ჩვენს ცხოვრებაში. — როგორც კარგი რამ თამაშობა, გონების გამღვიძებელი, როგორც კეთილი რამ დარიგება მოქმედების გზა არეულ კაცზედ, ისე მუზიკის ხმას დიდი გავლენა აქვს კაცთ-მოყვარეობაზედ. რაც უნდა კაცი ბოროტებით განმძვინვარებული იყოს, რაც უნდა იმაში დამკვიდრებული იყოს: ამპარტავნება და მედიდურება, მუზიკის მშვენიერი მელოდია ისე გრძნობაზედ მოიყვანს, და გულს დაუმშვიდებს, დაუმდაბლებს, რომ გრძნობს მაინ კაცი რაღასაც რამ ზეციურს ძალას და მიმართავს კეთილისაკენ. აქედამ სჩანს, რომ მუზიკაცა მეტად კაცის გონების განათლებასა და განვითარებასა. — ეს არის მიზეზი, რომ თითქმის ყველა ქვეყნების ყოველს ჟურნალის ბოლოს ვკითხულობთ სულ ახალ — ახალ ცნობებს მუზიკის შესახებს, რომელსაცა დიდის აღტაცებით მიიღებს ამ საგანზედ ახალს ცნობასა, — ზოგი ერთი განგებ ამისათვის იბარებს იმ ჟურნალებს, რომელშიაც იბეჭდებიან ამ გვარი ცნობები. საკუთრივ მუზიკის ჟურნალები ხომ რამდენი გამოდის ვინ მოსთვლის. ჩვენს ქვეყანაში საქართველოშიც მეტად გავრცელებული მუზიკის თვისი, უფრო მომღერლებით, რადგანაც ბუნებით უფრო მოსიყვარულე სიტყვის საკრავისა და სიმღერისა; ამისათვის ერის ჩვენ მცნობთაგან მუზიკაში დაკვირვებულს ნამეტნავათ ისმენენ, რომ

ზოგჯერ დაგვეხმაროს ამ საგანზედ და გვაცნობებდეს ზოგი ერთ იმას, რაც აქამდინ არ ვიცით და შეტყობილი არა გვაქუს. ეს უპატივცემულესი პირი, არის პროფესორი მუზიკისა უფ. ი. იურგევიჩი. პირველ შემთხვევაში წავაკითხებთ ჩუ̂ენის ცასკრების მკითხველებს ჩუ̂ენთან მოწერილს წიგნს შესახებ მუზიკისა, — შემდგომში გავაცნობთ მრთელს მუზიკის ისტორიას, დაწყობითგან და დაარსებითგან აქამოდე ამაზედ კიდეც მივიღეთ უფ. იურგევიჩისაგან ცნობა. — მხოლოდ პირველში დიდად გვსურდა შეგვეტყო, როგორ მიიღებენ ქართველი მკითხველნი იურგევიჩის შრომას. ამის შეტყობა ადვილია: უფ. იურგევიჩს მომზადებული აქუ̂ს საკუთარ წიგნად გამოსაცემად, » თჳთ მასწავლებელი მუზიკისა. » ესე იგი იმ გვარი თხზულება მუზიკაზედ ნოტებით, რომ მასწავლებელიც არა ჰყვანდეს მოსწავლეს შეუძლიან ადვილათ ისწავლოს დაკვრა ფორტოპიანოსი. ახლა ამას ითხოვს უ. იურგევიჩი, რადგანც ამ წიგნის გამოცემას ხარჯი მოზდევს, რომელს ქართველსაცა სურს იქონიოს, გამოუგზავნონ ფასი იმის საკლობაზედ, კუკიას, ბერიევის სახლში, ათი შაური თითო წიგნზედ. წიგნი იქნება დაბეჭდილი ნახევარი რუსულს. ხოლო ნახ:ვარი ქართულს ენაზედ. — აი აქედან შევიტყობთ, ჩუ̂ენ ქართველებს როგორი სურვილი აქუ̂სთ მუზიკის სწავლისა, და როგორ მიიღებენ თჳთ ამ საგანზედ ადაბეჭდილს ცისკრებში სტატიებს. — რედაკ.

«თქუ̂ენა მთხოვეთ მოწყალეო კელმწიფევ, რომ შემედგინა, თქუ̂ენგნითგამოცემულის ჟურნალის მკითხველ ქართველთათჳს ისტორია მუზიკისა, თჳთ უშორეს დროთგან ახლანდელ დრომდე. ამ თქუ̂ენ თხოვნას ვასრულებ დიდის ყმაყოფილებით, მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ პირველად, რომ მუზიკური ხელოვნება შეიცუ̂ავს ისეთს ვრცელს გორიზონტს, აქუ̂ს იმდენი სხუ̂ა და სხუ̂ა მხარე, რომ უნდა რიგ-რიგით დავიწყო იმისი თავ და. პირველიდან მომდინრეობა.

მრთელს სმელეთზედ მრავალი საკრავის იარაღი ყოფილა და ახლაც არის, — ჩუ̂ენ უნდა ცვილაპარაკოთ ახლა იმ საკრავის იარაღზედ, რომელსაცა გარდასხდია მრავალი ვლილება და, რომელიცა მიღწეულა ახლახნდელ სისრულეში.

აქ არ მინდა გამოვეკიდო დაწვრილებით საკრავის სხუ̂ა და სხუ̂ა გვარ სხეებს, ეს საქმე იმისთანა საქმეა, რომელიცა ეკუთვნის ხელოვნებ

ის

მაღალ სწავლასა, — მხოლოდ შევეხები მუზიკის ესტეტიკურს მნიშვნელობასა, — ამისათჳს, რომ ყოველი ნაწილი მუზიკისა ისეთი მისაზიდავია, თავს შეუძმიმებს ყოველს ისტორიკოზს, რომელიცა თუ დაწვლილებით განჩჯას გამოეკიდოს; თავის დღეში ვერ მიასლოვდება ზღვის კიდეს — ერთი მხოლოდ მელოდიის და გარმონიის ისტორია მმსახურებენ კალმად, ვეცდები აღვწერო ქვეყნის შექმნითგან აქამომდე, ან როგორის შემთხვევით მოუგონია კაცს საკრავი, ან როგორ მოსულა ამ ახლანდელს დროს სისრულეში. ბოლოს შევადარებ ყოველ ევროპიის მხრის მუზიკურს თხზებასა და იმის სიკეთეებსა ერთმანეთში.

«მართლად, მუზიკას, რომელიცა უნდა აღიწეროს ისტორიულის რიგით და წესით, უნდა უყურებდეთ ოთხის მხრით: ყოველი შეხედულობა წარმოგვიდგენს სრულებით სხუა სახეს, წინააღმდეგს მეორისას, თვითოეულს მხარეს გავაცნობ ცისკრის მკითხველებს, რა არის შეიტყონ, რომ იმათა აქუსთ თავისი განსაზღვრული სამძღვარი, მაშასადამე თავისი ისტორიაცა.

«ყოველი ხალხი გაკეთდა, განვითარდა და წინ წავიდა, თავის გარემემო მყოფ ბუნების და ადგილ-მდგომარეობის მიხედვით. ყოველი ხალხის ხასიეთები გამოითქმებოდა სახალხო გალობათგან ანუ მელოდიებითგან, ამისათჳს ყოველს ხალხს, ყოველ ჯინშსა აქუს თავისი სამშობლო სიმღერები, შეთვისებული სამშობლოს ხასიათებთან, იმის ისტორიულ სვესთან. აი ერთი მხარე, რომლით უნდა უყუროს კაცმა მუზიკასა; აი პირველი წერტილი, რომლით შეიძლება შეხედოს კაცმა მუზიკასა; ამას აქუს თავისი განსაზღვრული გორიზონტი. ისტორია სახალხო მუზიკისა სრულებით არ ეშესაბამება მუზიკის ისტორიასა. ყოველს ხალხსა, როგორც თვითოეულს კაცსა, უეჭველად აქუს ორი თვისებითი დამოკიდებულება, ერთი მეორის წინააღმდეგი: ეს დამოკიდებულება არის ღუთისადმი, ესე იგი სარწმუნოებითი, და დამოკიდებულება კაცთადმი, რომელსაც უწოდებთ საერო დამოკიდებულებას. აქედან წარმოდგება ორი გვარი მუზიკის თვისება: სარწმუნოებრივი და საერო, რომელნიცა ერთი მეორისაგან შორს არიან თავისის მიმართულებით და აზრით, მაშასადამე მათ უჭირავთ თავიანთი საკუთარი მიჯნა, რომელშიაც გამოიხატება ისტორია საეროსი. ყოველს ამ ისტორიულს გამოხატულებასა აქუს თავისი განყოფი-

ლება. მაგალითად ავიღოთ საერო, ერთი იმის ნაწილთაგანი შეიცავ-დრამმატიკურს მუზიკასა ანუ ოპერასა.—ვოდევ არის მეორესე მუზიკის გვარი, რომელსაცა უწოდებენ საშინაო მუზიკასა. უკეთუ რომელიმე სამღვთო ისტორია ანუ ოპერა, აღსრულდება რომლისამე ადგილს, მაგალითად თეატრში და საკმაოდ მრავალ რიცხვს შეკრებულებაში, მაშინ მიბაძვა ამ ოპერისა, ერთის საკრავის იარაღის საშუალობით და ერთის პირის მოქმედებით, შეადგენს აგრეთვე მუზიკალურს ჴელოვნებასა. ამისათჳს არის რომ შევხვდებით ხოლმე მრავალს ნიჭიერთ წარმომადგენელთ, თჳთოეულს საკრავს იარაღისას, მაღალის ტალანტის მქონეთ ვირტუოზთა, მომღერალთ კაცთ და ქალთ, ურიცხვი სხჳა და სხჳა გვარ როლების მქონეთ. ყველა ესენი ემსახურებიან მუზიკალურს კრიტიკასა, მაშასადამე იმის ისტორიასაცა. აი მოთხოვნილება მუზიკის ისტორიისა; ხოლო რუსეთს, საშინელის ქუეყნების სივრცე, რომელიცა არის ხმელეთის მეექჳსედი ნაწილი და, რომლის სამზღვარი თან და თან უფრო იწევს განზედ, იმ სივრცეზედ, რომელზედაცა სცხოვრებენ ათობით სხჳა და სხჳა გვარი ხალხნი სხჳა და სხჳა ჯინსისანი, ყოველს ამ ხალხს აქჳთ თავისი სიმღერები, თავისნთი საკრავი იარაღი, თავისნთი ნიჭი. ნუ თუ შესაძლო არ იყოს ეს ხალხის სიმღერა, განვაშოროთ გარეშე უცხო ქვეყნების ხალხთა, და ჯერ საკუთარივ მოვილაპარაკოთ ამათ მუზიკალურს თვისებაზედ. მგონია შესაძლებელი იყოს, მოვასმაროთ ამ საგანზედ, რუსეთს საკუთარი შრომა, შემდგომ მთელის ქვეყნის მუზიკის ისტორიას. აი მოწყალეო ჴელმწიფეო აღწერა ამ ნაწილებისა, რომელს ნაწილებზედაც დავიწყებ ლაპარაკს რიგ რიგით. რადგანაც თქჳენცა დამერწმუნებით ამაზედ, რომ ამ საგნებზედ ლაპარაკი ძრიელ შორს მოვა, შეადგენს მრავალს ტომებს, და «ცისკარში» ყოველს ნომერშიაც რომ იბეჭდებოდეს ათათი გვერდი, რამდენიმე წელიწადს მოუნდებით ჟურნალში ბეჭდვას და ამით რომ არ შეეზრდეს თქჳენი მკითხველი, ვეცდები მოვილაპარაკო მოკლედ და უბრალო დაწვრილებას არ გამოუდგე ვეცდები თვითეულს თქჳენის ცისკრის ნომერს არ მოვაკლო ახალ-ახალი ისტორიული ცნობა მუზიკისა, ახლა მოვართმევთ პატივცემულ ცისკრის მკითხველთათჳს, პირველს ჩემს მუზიკის ისტორიულს სტატიას, სადაცა აღვწერე მუზიკის აღმოჩენა და იმისი მომდინარეობა წარღვნის საუკუნიდამ ქრისტესაზედ.

თქჳენი ჟურნალის კეთილ დღეობის მოსურნე

იურკევიჩი.

## ფშეხის ხეობა.

ხეობა ესე ტკბილ სასილველი
კავკაზის მთიდგან დაბლა ქმნება;
მისი მდინარე და მისი ველი —
მეტად საამოდ მოიფინება!
აქა-იქ ჭალა აყრილის მესის,
მათ შორის ველსი დაცემულები.
მოწმად შთენილან მრავალგვარ სისხლის,
სად უხვრეტია ტყვიას გულები.
აქ სახლებულან კავკაზის შვილნი:
აბამესხელნი — მტერნი მტრისათჳს
და მოყვრისათჳს გულით ჩვილნი,
თავგადადებულნი მამულისათჳს.
მაგრამ სწყრომია ამათაც ბედი,
ხანჯლიც მათი გაუქმებულა
და თუ ჰქონიათ რამე იმედი
იგიცა მათთჳს გამტყუნებულა!
და სად აბამეხთ უნავარდნიათ
მკლავით მტაცებლით თავისუფალთა,
იქ ეხლა ვეღარ გაუსარნიათ
ორთავ-არწივის ფრთითა დანთქმულთა.
განქრა მათი დრო, მათთჳს დრო ტკბილი,
როს სტანციებში უმსრებიათ
და მათის შიშით ზევრით-ტკბილი ძილი
არც დღე, არც ღამე ჰქონებიათ,
კუბანის გაღმაც ჩრდილო ის სტანციებს
დასცემიან და უგიჟებიათ,
და რა გვტაცებდნენ შვილებს და ცოლებს,
ზევრჯელ დედამამა უტირებიათ.
ეხლა სხვა არის: მათი სოფლები —

# ლექსი

ნასოფლარებად გარდაქცეულან;
და აზნაურნი მათი მფლობელები
შავის ზღვის იქით გარდასვეწილან,
თითქმის ძლივსღა სცნობს თვალი მგზავრისა
მათ ნასადგომრებს. აოხრებულებს;
ჯვარდაგს ღობეებს იქ მიმოყრილებს.
აღარსად სისხლი, არცხმაურობა
ჯამაატისა არსაით ისმის;
ასე წაშლილა აქაურობა,
რომ ფუჭად ქმნილა ყოველი თითქმის
და მათთჳს თქმული: თუ ბედს სიმწარე
ბედნიერისთჳს მოუვლენია,
უმჯობესია მისთჳს სამარე,
რადგანც ერთი დრო არ შერჩენია!....

გ. ხო—ძე ანდრონიკოვი

სხუა და სხუა ამბავი

მუზიკის ისტორია. ი. იურკევიჩისა

---

**1 8 6 6 წლის**

**«ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:**

ტფილისში, ადგილობრივ გა-მოგზავნილად 6 მან. დამატებით. **7** მან.

სხუა ქვეყნებში გაგზავნით, და-უმატებლივ **7** მან. დამატებით. **8** მან.

რედაქცია იმყოფება გუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვინაც ჟურნალი დაიბარებს და თავის ადრესს არ მოაწერს, უ-მიზეზოდ ითხოვს რედაქცია. ამათ აცნობებს ამ ადრესით «ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.

**Дозволено цензурою 1866 г. 6 мая**